www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 21 ივლისი, 2012 წელი. | №3070 (163) | ფასი 50 თეთრი

150 მილიონი ზარალის ასანაზღაურებლად

მაგდა ლეკიაშვილი

კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საგანგებო ცხელი ხაზი მოქმედებს. მოქალაქეებს შეუძლიათ, 24-საათიან რეჟიმში დარეკონ ნომრებზე: ***555 33 69 14*** *ან* ***555 33 69 54;***

მინისტრთა კაბინეტის სრულმა შემადგენლობამ, დაპირებისამებრ, გუშინ ღამე კახეთში გაათენა, დილით კი პრეზიდენტმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შექმნილი შტაბის სხდომა გამართა.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

"ამომრჩეველთა ლიგა" პროფესიონალ მატყუარად ჩამოყალიბდა"

მაგდა ლეკიაშვილი



სიების დაზუსტების კომისიამ საქართველოს მასშტაბით "კარდაკარის" მეთოდით სიების გადამოწმება დაასრულა. კომისია ახლა ამ მონაცემების დამუშავებას იწყებს და საბოლოო სიას 1-ლი აგვისტოსთვის წარმოადგენს. სახელმწიფო უწყებამ ამომრჩეველთა სიების შესახებ განახლებული ინფორმაცია უკვე მიიღო თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიდან. მონაცემებში იმ ადამიანთა გვარებია შეტანილი, რომლებიც შემოდგომის არჩევნებისთვის ყაზარმულ რეჟიმზე იქნებიან.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

სირიელი ამბოხებულები საზღვრებს აკონტროლებენ

ხათუნა გაბიევი

სირიის დაზვერვის შეფი, რომელიც ორი დღის წინ დამასკოში მომხდარი აფეთქების დროს მძიმედ დაშავდა, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა. პარალელურად, ცნობილი გახდა ისიც, რომ დამასკოს ცენტრალურ მიდანის რაიონზე კონტროლი კვლავ ასადის არმიამ მოიპოვა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ვინ რის მიხედვით შეაფასებს არჩევნების სამართლიანობას

დათო გამისონია

ერთ-ერთი პრინციპი იმ დეკლარაციისა, რომელზე მიერთებაც "ნაციონალურმა მოძრაობამ" ოპოზიციურ პარტიებს შესთავაზა, ცესკო-ს მიერ შეჯამებული და სანდო რეპუტაციის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაციების დასკვნით ლეგიტიმურად მიჩნეული არჩევნების შედეგების აღიარებას ითვალისწინებს.

სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები განსხვავებულ კრიტერიუმებს ასახელებენ იმისთვის, რომ არჩევნები მშვიდობიან, სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარებულად მიიჩნიონ, რაც, მათი თქმით, არჩევნების შედეგების აღიარების საფუძველი გახდება.

კოალიცია "ქართული ოცნების" წევრმა და "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა "24 საათს" უთხრა, რომ არჩევნების შედეგების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მყისიერად ფორმირდება. **"არჩევნები ერთი დღის განმავლობაში, ყველას თვალწინ ტარდება. ყველა კარგად ხედავს, როგორი იყო შედეგი და აქტიურობა. ამიტომ, აქ ბევრი მექანიზმია: ოფიციალური შედეგები, პარალელური დათვლის და ეგზიტპოლების მონაცემები, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების და საერთაშორისო მისიების შეფასებები. ამით, არჩევნების შედეგები აშკარა და ღია იქნება,"** - ამბობს დავით უსუფაშვილი.

მმართველი პარტია კი, როგორც უსუფაშვილი შენიშნავს, "ქართულ ოცნებას" სთავაზობს, რომ ცეკო-ს მონაცემები აუცილებლად აღიაროს. **"ამის შესახებ საუბარი უხერხულია,"** - ამბობს უსუფაშვილი და განმარტავს, რომ საარჩევნო დისპუტების გადასაწყვეტად კონსტიტუციური მექანიზმები არსებობს - სასამართლოსთვის საჩივრებით მიმართვა. **"ამ მექანიზმებს აუცილებლად გამოვიყენებთ. თუ საფუძველი იქნება, კონსტიტუცია და კანონმდებლობა საშუალებას გვაძლევს, არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ დავაყენოთ.**

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6559	↓
1 ევრო	2.0378	↓
1 ინგლისური გირვანქა	2.5983	↓
1 თურქული ლირა	0.9179	↓
100 რუსული რუბლი	5.1624	↓

თბილისი	30°C - 21°C
ქუთაისი	36°C - 23°C
თელავი	31°C - 17°C
ზუგდიდი	34°C - 21°C
ბათუმი	29°C - 20°C

ნავთობი	2.91	-0.04	-1.29%
გაზი	3.04	+0.04	+1.45%
ოქრო	1,581.50	+1.10	+0.07%
ხორბალი	934.25	-0.75	-0.08%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

წილისყრა ერთი გუნდისთვის

ზესტაფონიც საქმეშია?!

გუშინ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე ეტაპის წილისყრა გაიმართა. ჯერ საპასუხო მატჩები არ ჩატარებულა, მაგრამ ევროპული ფეხბურთის მმართველები მეორე ეტაპის გამარჯვებულთა ვინაობას არ დაელოდნენ და კლუბებს ადრევე შეურჩიეს სავარაუდო მეტოქეები.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

"მეტალურგმა" ჩეხებთან ვერაფერი გააწყო

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოებს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

N 20/07/04 2012 წლის 20 ივლისი, ქ. თბილისი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად:

1. 2012 წლის 23 ივლისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება.

4. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. N1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) ავტობიოგრაფია ან CV;

გ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო სამეურვეო საბჭოს წევრისათვის "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღეში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატების სიის გამოქვეყნება.

6. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნას ღია კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი

ჯონდი ბაღათურიამ მუშაობის შედეგები შეაჯამა

"ქართული დასის" ლიდერმა პარლამენტში ბოლო 4 წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა. ჯონდი ბაღათურიამ ჟურნალისტებს საკუთარი ქონებრივი დეკლარაციაც გააცნო.

ქართული დასის ლიდერმა გუშინვე კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ საბურთალოს რაიონში დავით უსუფაშვილის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად წარდგენაზეც ისაუბრა. ბაღათურიას განცხადებით, ეს ფაქტი მისთვის მოულოდნელი იყო.

"გუშინ გაირკვა, რომ დადგა კიდევ ერთი კანდიდატი, რაც მოულოდნელი იყო ჩემთვის. მე უკვე ვარ საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატი. სანამ ჩვენ არ გავივლით ყველა საკითხს და არ გავერკვევი, რატომ მოხდა ჩემთვის მოულოდნელად ამ ამბის გამოცხადება, სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ," - განაცხადა ბაღათურიამ.

მისი თქმით, სამი თვის წინ "ქართულ ოცნებაში" ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როდესაც რეგიონებში "ქართული დასის" პოტენციალს განიხილავდნენ, ბაღათურიამ თქვა, რომ მაჟორიტარად კენჭისყრას საბურთალოს რაიონში აპირებდა. "აღვნიშნე, რომ ამას ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ ამის შესახებ არც ერთი განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა," - განაცხადა ბაღათურიამ.

მისივე თქმით, საბურთალოზე მას "ნაციონალური მოძრაობა" კი არა, ტანკიც ვერ შეაჩერებს".

როგორც ბაღათურია აცხადებს, "ქართულ ოცნებასთან" თანამშრომლობას ის მაინც გააგრძელებს, თუნდაც ეს ცალმხრივი იყოს. "მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი უნდა გამოვიდეს," - განაცხადა ბაღათურიამ "ქართული დასის" სახელით.

ვინ რის მიხედვით შეაფასებს არჩევნების სამართლიანობას

პირველი გვერდიდან

რასაც ცესკო გამოაცხადებს, იმას ტაში დაუკარითო, ეს სწორი მიდგომა არ არის. "ნაციონალურ მოძრაობას" სურს, კოალიცია "ქართული ოცნება" წარმოაჩინოს ძალად, რომელსაც გამარჯვების შანსი არა აქვს და თითქოს არეულობის მოწყობას გეგმავს," - ამბობს დავით უსუფაშვილი.

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წევრი ლევან ვეფხვაძე კი განმარტავს, რომ არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა ბევრი კრიტერიუმით ფასდება. მისი თქმით, საადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის სპეციალური გაიდლაინებიც არსებობს. **"ამ შემთხვევაში სუბიექტური შეფასებები მექნება, მაგრამ ჩემთვის მთავარი კრიტერიუმი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებაა. ამის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას, არჩევნების შედეგები ვაღიაროთ თუ რა გავაკეთოთ,** - ამბობს ლევან ვეფხვაძე "24 საათთან" საუბარში, - **თუ არჩევნების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციები პოზიტიურ დასკვნას წარმოადგენენ, მაგრამ ჩვენ სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ, ეს ჩვენი ბრალი იქნება და არა ბიულეტენების."** როგორც ვეფხვაძე ამბობს, თუ ოქმების მონაცემებს გადაასწორებენ და კონკრეტული ფალსიფიკაციის ფაქტებს აღმოაჩენენ, "ქრისტიან-დემოკრატები" სხვა რეაქცია ექნებათ. **"გასაჩივრების გზა არსებობს. ჩვენი სიმართლის დაცვას მაქსიმალურად შევეცდებით,"** - აღნიშნავს ვეფხვაძე.

"ახალი მემარჯვენეების" წევრმა მანანა ნაჭყებიამ "24 საათს" უთხრა, რომ ზოგი პარტია არჩევნების ხარისხს არჩევნებზე მიღებული ხმების რაოდენობით აფასებს. მისი თქმით, "მემარჯვენეები" საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლების შეფასებას, საარჩევნო უბნებზე პარტიების წარმომადგენლების ინფორმაციას და საზოგადოების განწყობას განმსაზღვრელად მიიჩნევენ. **"თუ ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწიეთ, ეს ბუნებრივია, კრიტერიუმი არ გახდება,"** - ამბობს მანანა ნაჭყებია. მისი თქმით, თუ ეს სამი წყარო მიუთითებს, რომ არჩევნები გაყალბდა, ამას "ახალი მემარჯვენეების" რეაქცია მოჰყვება. **"საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართავთ, მათ ყურადღებას მივიპყრობთ და ამ გზით სიმართლეს დავადგენთ,"** - ამბობს მანანა ნაჭყებია.

ნაჭყებიამ 2004 წლის საპარლამენტო არჩევნები გაიხსენა. **"ჩვენ, დაახლოებით, 9 პროცენტი ავიღეთ. ეს ხელისუფლებისთვის სერიოზული მოულოდნელობა აღმოჩნდა, რადგან მიხეილ სააკაშვილი და "ნაციონალური მოძრაობა" დიდების ზენიტში იყვნენ. ხელისუფლებამ ჩვენი პროცენტის დასაწევად ოლქების გაუქმება დაიწყო. მაგრამ, საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართეთ. მათი ჩარევით და პარალელური დათვლების შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ ბარიერი გადალახული გვქონდა. ამდენ არგუმენტს ხელისუფლებამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია,"** - ამბობს მანანა ნაჭყებია.

ნაჭყებიას თქმით, გაყალბების წინასწარი მოლოდინი ხელს უწყობს არჩევნების გაყალბებას. **"ხელისუფლების ინტერესია საზოგადოებაში ნიჰილიზმი იყოს, რათა არჩევნებზე რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი მივიდეს. თუ არჩევნებზე ბევრი ხალხი მივა, გაყალბება პრაქტიკულად გამორიცხულია. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან ნიჰილიზმის დათესვა სწორად არ მიმაჩნია,"** - ამბობს მანანა ნაჭყებია.

"ლეიბორისტული პარტიის" გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ თუ საქართველოში ნამდვილი არჩევნები ჩატარდება, პარტია შედეგებს აღიარებს, მიუხედავად იმისა, ვინ რამდენ პროცენტს აიღებს. შატბერაშვილის მტკიცებით, საქართველოში სამართლიანი არჩევნები 1989 წლის შემდეგ არ გამართულა.

შატბერაშვილი იმ 4 კრიტერიუმის შესახებ საუბრობს, რომლებსაც, მისი თქმით, ამჟამად არჩევნების ჩასატარებლად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. **"არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეებისთვის სავალდებულო უნდა იყოს. ამისთვის ორი გზა არსებობს - სანქცირების და წახალისების. ამასთან, საარჩევნო ადმინისტრაცია პარიტეტულ საწყისზე უნდა დაკომპლექტდეს - ყველა საარჩევნო სუბიექტს საუბნო, საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში თითო წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს. დღეს კი ყოველ მათგანში უმრავლესობას "ნაციონალური მოძრაობა" ფლობს. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხმების გადათვლა და საარჩევნო უბნებზე გადაღებული ვიდეომასალის გახსნა. კიდევ ერთი მოთხოვნა ის არის, რომ საეჭვო ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ხმების გადათვლის შედეგები სასამართლომ გადაამოწმოს,"** - ამბობს სოსო შატბერაშვილი.

"ლეიბორისტები" უცხოელ დამკვირვებლებს სრულ უნდობლობას უცხადებენ. **"ისინი სააკაშვილს მოქრთამული ჰყავს. საერთაშორისო ორგანიზაციები ხინკლით არიან მუცელამოყორილები,** - ამბობს სოსო შატბერაშვილი, - **ისინი არჩევნების შემდეგ საქართველოდან მიდიან, ერთსა და იმავე შეფასებას წერენ: "მხოლოდ ცალკეული დარღვევები იყო, რომლებსაც საერთო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია." ამავე დროს, საქართველოში უნდა შეწყდეს ისეთი კორუმპირებული ორგანიზაციების მოღვაწეობა, როგორებიც NDI და IRI არიან."**

60 მლნ დოლარი - საქართველოში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაამტკიცა საქართველოში განვითარების პოლიტიკის ფარგლებში კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების (CG DPO) განსახორციელებლად. ეს იქნება პირველი ჯგუფი იმ კრედიტებისა, რომლებიც კონკურენტუნარიანობისა და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობას მოხმარდება. განვითარების პოლიტიკის ხელშემწყობი ღონისძიებების სერია მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის 2010-2013 წლებში თანამშრომლობის სტრატეგიის (CPS) ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობაში აღნიშნავენ, რომ განვითარების პოლიტიკის ფარგლებში კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების სერიის მიზანია დახმარება გაუწიოს მთავრობას დაგეგმილი რეფორმების განხორციელებაში სამი ძირითადი მიმართულებით: კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება საექსპორტო ბაზარსა და უცხოურ ინვესტიციებზე წვდომის, ვაჭრობის ხელშეწყობის, ენერგეტიკის სექტორის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების და მაღალხარისხიანი და თანამედროვე განათლების სისტემის შექმნის გზით; და სოციალური ხარჯების ეფექტიანობის სტიმულირება სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერების გზით, რაც ჯანდაცვის მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის და მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების ეფექტიანობის გაუმჯობესებით მიიღწევა.

მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის სამხრეთ კავკასიაში ჰენრი კერალის განცხადებით, **"განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შემოთავაზებული სერია ეყრდნობა მთავრობის მოდერნიზაციისა და დასაქმების 10-პუნქტიან გეგმას. ღონისძიებები, რომელთა ხელშეწყობასაც CG DPO პროგრამა ითვალისწინებს, ქვეყნის მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა, რაც მისი განხორციელებისა და მდგრადობის გარანტიაა."**

მსოფლიო ბანკის წამყვანი ეკონომისტის და DPO პროგრამის ხელმძღვანელის რაშმი შანკარმას თქმით, **"მთავრობის მიერ შემუშავებული სტრატეგია მიზნად ისახავს ღონისძიებათა ქმედითი ციკლის განხორციელებას პროდუქტიულობის გაუმჯობესების, ინვესტიციებისა და ექსპორტის გაზრდის, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების დონის ამაღლების და სოციალური დაცვის სისტემის სათანადო გაძლიერების მიზნით."**

აღსანიშნავია, რომ CG DPO პროგრამისათვის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (IDA) მიერ გამოყოფილი სესხი 25-წლიანია, ხოლო საშეღავათო პერიოდის ხანგრძლივობა ხუთი წელია. დღეისათვის მსოფლიო ბანკის საკრედიტო პორტფელი 1.62 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

ზესტაფონში მუშები გაიფიცნენ

ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ადმინისტრაცია გაფიცულ მუშებს ხელფასის 35 პროცენტით გაზრდასა და 10 პროცენტის ოდენობით პრემიას დაჰპირდა, თუმცა აქციის მონაწილეები ამ შეთავაზებას არ დათანხმდნენ. News.ge-ის ინფორმაციით, ქარხანაში დასაქმებული მუშების საშუალო ანაზღაურება ამჟამად 400-დან 600 ლარამდე მერყეობს. მუშები მიიჩნევენ, რომ ხელფასის ეს ოდენობა მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან შეუსაბამოა.

გამაფრთხილებელი აქცია მსგავსი მოთხოვნით მუშებმა, დაახლოებით, 2 წლის წინათ გამართეს. ამჯერად ისინი, მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პერმანენტული აქციებით იმუქრებიან.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

150 მილიონი ზარალის ასანაზღაურებლად

პირველი გვერდიდან

სააკაშვილი ზარალის აღმოსაფხვრელად დაწყებული სამუშაოების პირველ შედეგებს გაეცნო. პრეზიდენტი აცხადებს, რომ აღდგენით სამუშაოებს და კომპენსაციებს 150 მილიონამდე ლარი დასჭირდება. მიხეილ სააკაშვილის თქმით, მთავრობა, პრაქტიკულად, შეუძლებელს აკეთებს იმისთვის, რომ მოსახლეობას მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინოს. როგორც ქვეყნის პირველი პირი ამბობს, სტიქიის შედეგად ყველაზე მძიმედ დაზარალებულები სრულად მიიღებენ კომპენსაციას, დანარჩენებს კი ზარალი ნაწილობრივ აუნაზღაურდებათ. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კრედიტებს, დაზარალებულ მოსახლეობას, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, კრედიტის გადახდის ვადა ერთი წლით გაუხანგრძლივდება, სესხის პროცენტს კი სახელმწიფო დაფარავს.

სტიქიით დაზარალებულები კატეგორიებად დაიყოფიან. დაზარალებულთა პირველ კატეგორიაში შედიან ის ოჯახები, რომლებმაც მოსავლის 100 პროცენტი დაკარგეს - მათ კომპენსაციის სახით 1300-დან 1500 ლარამდე გადაეცემათ; მეორე კატეგორიაში ისინი, ვინც მოსავლის 70-80 პროცენტი დაკარგა - 800-დან 900 ლარამდე მიიღებენ. მოსახლეობის იმ ნაწილს კი, რომელსაც სტიქიამ მოსავლის 50 პროცენტი გაუნადგურა, კომპენსაციისთვის 300-დან 500 ლარამდე გადაუხდიან. ასევე, დაზარალებულები მიიღებენ სასურსათო პაკეტს, რომელშიც ზეთი, ფქვილი და შაქარი შედის. თელავის რაიონის სოფლებში პაკეტებს უკვე არიგებენ.

სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ ანგარიში გუშინვე მოისმინა პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა. როგორც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა აღნიშნა, ყვარელში გაზმომარაგება უკვე აღდგენილია, ბუნებრივი აირის გარეშე მხოლოდ თელავისა და გურჯაანის ნაწილია დარჩენილი. ამავე რაიონის მოსახლეობას დღეს დღის ბოლომდე აღუდგება ელექტროენერგიის მიწოდება. რაც შეეხება თელავის წყალმომარაგებას, როგორც მთავრობის სხდომაზე მხარის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა აღნიშნა, რამდენიმე უბანს წყალი უკვე მიეწოდება. ვანო მერაბიშვილმა ენერგეტიკის მინისტრს, პირველ რიგში, კვების ობიექტების, ბენზინ და გაზგასამართი სადგურების ჩართვა დაავალა.

რაც შეეხება თელავის წყალმომარაგებას, როგორც მთავრობის სხდომაზე კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა აღნიშნა, რამდენიმე უბანს წყალი სრულად მიეწოდება, ნაწილს კი - გრაფიკით.

ქალაქში ჯერ კიდევ მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ორი ბატალიონი და თელავის ადგილობრივი სპეცდანიშნულების დანაყოფი. მობილიზებულები არიან რეზერვისტებიც. ისინი მოსახლეობას ეხმარებიან და ქუჩებს წაქცეული ხეებისა და ელექტრობოძებისგან ათავისუფლებენ.

"დღეს უკვე ჩამოტანილია 70 ათასი კვადრატული მეტრისთვის საჭირო სახურავი და დღის განმავლობაში მასაც გავანაწილებთ. იმერეთიდან ჩამოსულია 100-კაციანი ბრიგადა, სამეგრელოდან - 60-კაციანი, თბილისიდან 300-კაციანი, აჭარიდან - 120-კაციანი, რომლებიც დღესვე დაიწყებენ სახლების გადახურვაზე მუშაობას. მობილიზებულია 30 კომპანია, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ", - აღნიშნა ღვინიაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა რწმუნებულებსა და გამგებლებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ რეგიონში შეტანილი შხამ-ქიმიკატებისა და შესაწამლი აპარატურის განაწილებაზე ზრუნვაც დაავალა, რათა, მერაბიშვილის თქმით, ქონება არ განიავდეს და ყველა მოქალაქემ შეძლოს კუთვნილი დახმარების მიღება.

"იქ, სადაც ვერ ხერხდება ჩვენი ტექნიკით შეწამვლა, მოქალაქეებს დაურიგდეთ 10-10 ლიტრი დიზელის საწვავი, რათა ამ სამუშაოების ორგანიზება თავად შეძლონ. ყველა საკრებულოში იყოს ცენტრი და ჩაერთონ გამგებლები, რომ მოსახლეობაში სამართლიანად განაწილდეს შხამ-ქიმიკატები და გადავარჩინოთ ვენახი და ხეხილი, რათა მომავალში მაინც მოხერხდეს მოსავლის მიღება. ჩვენი ოპერატიული შტაბი მუშაობას აგრძელებს და გვინდა, მსგავსი შტაბები ყველა რაიონში ამუშავდეს, რათა ყველა გადაწყვეტილებაზე თელავში სიარული არ გახდეს საჭირო. ყველა შტაბს უხელმძღვანელებს გამგებელი, თბილისიდან ჩამოსული ჩემი კოლეგები - მინისტრები და მათი მოადგილეები," - აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

"ამომრჩეველთა ლიგა" პროფესიონალ მატყუარად ჩამოყალიბდა"

პირველი გვერდიდან

მათთვის სპეციალური საარჩევნო უბნები უნდა შეიქმნას. სიების დაზუსტების კომისიაში ინფორმაცია შევიდა ასევე სამოქალაქო რეესტრიდან, დევნილთა სამინისტროდან და სასამართლოდან. კომისია ელოდება საზღვრის დაცვისა და საკონსულო დეპარტამენტის სიებს.

"ამ მონაცემებს მალე გადმოგვიგზავნიან. თუმცა, საკონსულოდან კიდევ უნდა მივიღოთ ინფორმაცია არჩევნებამდე 20 დღით ადრე, რათა უახლესი ცვლილებები ამომრჩეველთა ერთიან სიაში ავსახოთ," - ამბობს

სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე. მისივე თქმით, "კარდაკარის" დროს პრობლემები შეიქმნა დამისამართების გამო. ამიტომ, ამ პროცესის შემდეგ კომისიამ მოსახლეობა ხელმეორედ აღწერა.

კომისიის თავმჯდომარე იმასაც ამბობს, რომ პარალელური "კარდაკარის" დროს სხვადასხვა პარტიები თუ ორგანიზაციები სახელმწიფო კომისიის საქმიანობის დისკრედიტაციას ცდილობდნენ. მათ შორის "ამომრჩეველთა ლიგა". მათი რეგისტრატორები იმაზე საუბრობდნენ, რომ სიების დაზუსტების კომისია საკუთარ თანამშრომლებს კუთვნილ ხელფასს არ გადაუხდიდა. თუმცა, კომისიამ ანაზღაურების თანხა ყველა რეგისტრატორს ჩაურიცხა. მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ რეგისტრატორებისთვის პლასტიკური ბარათები უფასოდ დამზადდა და ეს ადამიანები ხელფასებს "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში აიღებენ.

კომისიის კუთვნილი 5 მილიონი ლარიდან ხელფასებზე, ჯამში, ორი მილიონ 112 ათას 387 ლარი დაიხარჯა. რეგისტრატორები კი სამ კატეგორიად დაიყვნენ - პირველ კატეგორიის რეგისტრატორებს, რომლებსაც გადასამოწმებლად მცირერიცხოვანი უბნები შეხვდათ, ხელფასის სახით 110 ლარი დაერიცხათ. იმ უბნებზე, სადაც შედარებით მეტი ამომრჩეველი იყო - 150 ლარი, ხოლო ყველაზე მაღალი დატვირთვის უბნებზე - 200 ლარი.

"რეგისტრატორებთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ანაზღაურებები "კარდაკარის" დასრულებიდან 15 დღის ვადაში უნდა გაგვეცა. თუმცა ეს დრო მინიმუმამდე დავიყვანეთ და თითოეულ მათგანს ხელფასი უკვე საკუთარ ანგარიშზე აქვს. ოპონენტები ამბობდნენ, რომ ჩვენ რეგისტრატორებს "გადავაგდებდით". მაგრამ ახლა ყველას შეუძლიას, ნახოს შედეგი," - ამბობს მამუკა კაციტაძე. კაციტაძემ გუშინ "ამომრჩეველთა ლიგის" ხელმძღვანელ კოკა გუნცაძის კიდევ ერთ განცხადებას უპასუხა.

სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ "ამომრჩეველთა ლიგა" კომისიის დისკრედიტაციას ცდილობს და საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრის. კაციტაძის თქმით, ამ ორგანიზაციის წევრები პროფესიონალ მატყუარებად ჩამოყალიბდნენ. ისინი აცხადებენ, რომ მათ მიერ თბილისში გადამოწმებულ სიებში 17-22 პროცენტი უზუსტობაა. უზუსტობებზე საუბრისას კი, კაციტაძის განმარტებით, უნდა აღინიშნოს, რა მონაცემებთან ხდება შედარება.

"თუ ლაპარაკია იმ სიაზე, რომლითაც "კარდაკარი დაიწყო, იმ სიაზე, რომელიც ჩვენ მივაწოდეთ "ამომრჩეველთა ლიგას" დასამუშავებლად, ის ვარგისიანობისგან ძალიან შორის იყო. მინდა, ერთი შესწორება შევიტანო. ამომრჩეველთა თავდაპირველ სიაში უზუსტობები არა 17, არამედ 26 პროცენტს შეადგენდა," - დასძენს კაციტაძე. მისივე თქმით, "ამომრჩეველთა ლიგა" სწორედ ძველი სიებით მანიპულირებს.

მამუკა კაციტაძეს სიების დაზუსტების კომისიის მიმართ საზოგადოების განწყობის საჩვენებლად NDI-ის ბოლო კვლევა მოჰყავს - გამოკითხული მოქალაქეების 86 პროცენტი კომისიის საქმიანობას ენდობა და მხოლოდ 3 პროცენტი უცხადებს უნდობლობას. **"როგორც ჩანს, "ამომრჩეველთა ლიგა" ამ 3 პროცენტში შედის,"** - ამბობს კაციტაძე.

სასამართლომ ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო

გორის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, შეძენა-გასაღებაში ბრალდებული გაამართლა.

უჩა აწკარუნაშვილისთვის გამოძიების მიერ სისხლის სამართლის 186-ე მუხლით წაყენებული ბრალდება ითვალისწინებდა ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოს ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით, ბრალდებულ უჩა აწკარუნაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა გირაო.

წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებებიდან ნაწილი საქმის არსებით განხილვაზე დაშვებული იქნა, როგორც სადავო მტკიცებულებები.

საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული იქნა სადავო მტკიცებულებები და ვინაიდან, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაადასტურა ბრალდებულის მიერ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი და უტყუარი უჩა აწკარუნაშვილის ბრალის დასადასტურებლად.

სასამართლომ გაითვალისწინა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და სასამართლომ უჩა აწკარუნაშვილი უდანაშაულოდ ცნო.

დავით გამყრელიძემ სამეგრელოში მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა

დავით გამყრელიძემ გუშინ ზუგდიდში სამეგრელოს რეგიონში "ახალი მემარჯვენეების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა.

ზუგდიდში კენჭს მანანა ნაჭყებია იყრის. როგორც გამყრელიძემ განაცხადა, სამეგრელო უმნიშვნელოვანესი რეგიონია და მის ცენტრში პარტიის ერთ-ერთი ლიდერის წარდგენა აჩვენებს, რომ "მემარჯვენეები" ამ რეგიონზე სერიოზულ გათვლას აკეთებენ.

"მანანა ნაჭყებიასთვის სამეგრელო მშობლიური რეგიონია, ზუგდიდი მისი დედულეთია, ამიტომ მან ზედმიწევნით კარგად იცის რეგიონის პრობლემები. მით უმეტეს, პარტიიდან ის სამეგრელოს პოლიტიკური კურატორია და უკვე დიდი ხანია, მუშაობს რეგიონში, ხვდება მოსახლეობას, პრაქტიკულად, მოვლილი აქვს მთელი სამეგრელო და, პირველ რიგში, ზუგდიდის რაიონი," - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

აბაშაში პარტიის დეპუტატობის კანდიდატი გელა თოფურია იქნება, რომელიც აბაშის საკრებულოს წევრია. მარტვილში კენჭს იყრის შოთა ჩახავა, ხობში - კახა ლატარია. ყველა წარდგენილი კანდიდატი პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია.

ივანიშვილის ჯარიმა კახეთის დასახმარებლად

ბიძინა ივანიშვილი სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის ნაწილს - 10 მილიონ ლარს გადაიხდის, თუ ხელისუფლება ამ თანხას სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას მოახმარს.

ბიზნესმენის თქმით, კახეთში მოსახლეობის დახმარება შესაძლოა, მას მმართველმა გუნდმა ამომრჩევლის მოსყიდვად ჩაუთვალოს. ამიტომ, კოალიციის ლიდერმა ჯარიმის გადახდა გადაწყვიტა.

"სტიქიით მიყენებული ზარალის სრულად დათვლის შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტში ამავე მექანიზმის გამოყენებით გადავრიცხავ იმდენ თანხას, რამდენიც საჭირო გახდება. შედეგად, მთავრობას უჩნდება ბიუჯეტით დაუგეგმავი დამატებითი სახსრები, რომლითაც მას შეუძლია, ყოველ ოჯახს სრულად აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი, იქნება ეს დაკარგული მოსავალი, დახოცილი პირუტყვი თუ დაზიანებული კარ-მიდამო," - ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის "ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ განცხადებაში.

როგორც კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ამ ტრანზაქციის შემდეგ ხელისუფლება ვერ იტყვის, რომ ბიუჯეტში ფული არ არის და დაზარალებულებს კომპენსაციებს ვერ უხდიან.

გალში მოსალოდნელ დივერსიაზე რეაგირების სპეციალური შტაბი შეიქმნა

გალის რაიონში საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი დივერსიის ფაქტებზე რეაგირების მიზნით სპეციალური შტაბი შეიქმნა. რუსული მედიის ცნობით, ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, შტაბს ე.წ უშიშროების სამსახურის რეგიონული განყოფილების მეთაური ხელმძღვანელობს, შემადგენლობაში კი ე.წ. შსს-ს რაიონული განყოფილების თანამშრომლები, რაიონის პროკურორი და დე ფაქტო რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტის წარმომადგენლები შედიან.

როგორც ანქვაბმა განმარტა, შტაბის შექმნა გალის რაიონში მდგომარეობის გართულებას.

"ეს ბრძოლისუნარიანი, გაწვრთნილი და ძლიერი დანაყოფია, რომელიც მზად იქნება, ქართული მხარის ბევრ გამოწვევას უპასუხოს. გალის რაიონში მდგომარეობა ყოველთვის რთული იყო. რა თქმა უნდა, ჩვენი ენგურს გაღმა მეზობლები ცდილობენ, რომ იქ მდგომარეობა ისევ გაუარესდეს. ყველა აქცია, რომლებიც სასაზღვრო რაიონში ტარდება, წინასწარ არის დაგეგმილი. შემთხვევით არაფერი ხდება. ეს დაშინების აქციებია, რათა ეშინოდეს ხელისუფლებასაც და მოსახლეობასაც. ჩვენ მათ ადეკვატური ზომებით ვუპასუხებთ. რამდენიმე დღეა, გალის რაიონში მსუბუქ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ვატარებთ და ამას სარგებელი მოაქვს," - განაცხადა ანქვაბმა.

მისივე თქმით, პარალელურად, რაიონის სამართალდამცავი სტრუქტურები ე.წ. კრიმინალურ ელემენტებსაც ებრძვიან.

"მემარჯვენეების" შეთავაზება ხელისუფლებას

"ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებას სტიქიის თავიდან ასაცილებლად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას სთავაზობენ. ამის შესახებ "მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ გუშინ თელავში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

"წლიდან წლამდე სეტყვა კახეთის რეგიონისთვის დაუძლეველ პრობლემად გადაიქცა. ყოვეწლიურად ნადგურდება მოსავალი და გლეხი სრულიად უშემოსავლოდ რჩება. მიუხედავად უხვად გაცემული დაპირებებისა, დღემდე არც მოსავლის დაზღვევის პრაქტიკა ამუშავებულა და არც მიყენებული ზარალის ადეკვატური კომპენსაცია გაცემულა. თანამედროვე ტექნოლოგიები იცნობს შესაძლებლობას, რომლის საშუალებითაც, სეტყვის თავიდან აცილება 100-პროცენტიანი გარანტიით არის შესაძლებელი. ეს არის სეტყვის საწინააღმდეგო არტილერია. ამგვარი "ალაზნის" ტიპის სარაკეტო დანადგარები არსებობდა საბჭოთა საქართველოში. დღეს თანამედროვე სოფლის მეურნეობაში, ძირითადად, ორი ტიპის ამგვარი დანადგარი გამოიყენება - სარაკეტო "ალაზნის" ტიპის და გაზის "ზენიტის" ტიპის, რომლის მართვა თანამგზავრული სისტემით ხდება," - განაცხადა ჩიხრაძემ.

მისი თქმით, სავარაუდოდ, თელავის სავარგულებს, ვენახებს, ატმის ბაღებს, ნათესებს სტიქიის თავიდან ასაცილებლად ორი ასეთი დანადგარი ეყოფოდა. ჩიხრაძის ინფორმაციით, თითო დანადგარის ღირებულება 50 000 დოლარს არ აღემატება და ყოველწლიური მომსახურება 500 დოლარამდე ჯდება.

"არტ-გენი 2012" თბილისში ჩამოვიდა

ბანკი კონსტანტა

თბილისური "არტ-გენი" იწყება. 10-დღიანი რეგიონული ტურნეს შემდეგ "არტ-გენი 2012"-ის დასკვნითი ნაწილი თბილისში, გ. ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო (ეთნოგრაფიულ) მუზეუმში გაიმართება.

"ბანკ კონსტანტასა" და ფესტივალ "არტ-გენის" პარტნიორობა უკვე მესამე წელია გრძელდება. ბანკის მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსის, გიორგი გოგუას თქმით, **"თანამშრომლობა წარმატებული აღმოჩნდა, რადგან** "არტ-გენი" არის ერთადერთი ფოლკლორული ფესტივალი საქართველოში და მისი მიზანი ზუსტად ემთხვევა ბანკის მიერ არჩეულ სტრატეგიას ქართული ეთნოგრაფიული კულტურის მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალს მრავალი ახალგაზრდა სტუმრობს - ამ სეგმენტში ფოლკლორით დაინტერესება დაბალია და, შესაბამისად, ყველაზე აქტიური პოპულარიზაცია სწორედ ახალ თაობაშია საჭირო."

ამ მიზანს ემსახურება "ბანკი კონსტანტას" ორი ახალი პროექტი, რომელიც საქართველოში მოღვაწე ფოლკლორული ანსამბლების უხუცესი წევრებისა და მათი საქმიანობის ახალგაზრდობასა და ქალაქის მცხოვრებლებს შორის პოპულარიზაციას ეძღვნება. **"წელს განსაკუთრებით აქტიურად ვმუშაობთ ფოლკლორის სფეროში მოღვაწე ადამიანების მხარდაჭერაზე.** "არტ-გენი 2012"-ის რეგიონული ტურნეს პარალელურად, მთელი საქართველოს მასშტაბით ვიმოგზაურეთ და ვესტუმრეთ ეროვნული ფოლკლორის ისეთ ცოცხალ ლეგენდებს, როგორებიც არიან ანდრო სიმაშვილი კახეთში, პოლიკარპე ხუბულავა სამეგრელოში, ისლამ ფილფანი ზემო სვანეთში და სხვა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ამ ადამიანების ისტორიები და ფოტოპორტრეტები, რომელთა გავრცელებასაც "არტ-გენი 2012"-ის დასკვნითი ნაწილის პარალელურად დავიწყებთ," - ამბობს "ბანკი კონსტანტას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ქეთო გიორგობიანი.

აგვისტოს დასაწყისში "ბანკი კონსტანტა" კიდევ ერთი უნიკალური პროექტის განხორციელებას გეგმავს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედების სტუდიურ ჩაწერასა და ინტერნეტსივრცეში კომერციული მიზნით გავრცელებას ითვალისწინებს. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც შემსრულებლებს თავიანთი შემოქმედების საერთაშორისო ბაზარზე ასე ფართოდ გატანის შანსი ეძლევათ. ამ პროექტის ფარგლებში ბანკი თითოეულ ანსამბლს თავის ახალ, დაგროვებითი ტიპის პროდუქტს - "ინბოქსს" გაუხსნის. **"ინტერნეტში გაყიდული თითოეული სიმღერის საფასური კონკრეტული ანსამბლისა თუ შემსრულებლის** "ინბოქსის" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება. გარდა ამისა, ნებისმიერ მსურველს შეეძლება, მხარი დაუჭიროს თავისი ფავორიტი ანსამბლის შემოქმედებას და "ინბოქსში" სასურველი თანხა ჩაურიცხოს. "ინბოქსი" განსაკუთრებით მოქნილი პროდუქტია, რადგან სხვა საბანკო პროდუქტებისგან განსხვავებით, მას მარტივი, ექვსნიშნა ანგარიშის ნომერი ("ინბოქსის" ნომერი) აქვს, რომელსაც მომხმარებელი საკუთარი სურვილისამებრ ირჩევს. "ინბოქსის" ანგარიშის გასახსნელად, ისევე, როგორც თანხის ჩასარიცხად, ბანკში მისვლა აუცილებელი არ არის: ანგარიშის შევსება სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით, 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი, და რაც მთავარია - არანაირი მინიმალური შენატანი! დაგროვილ თანხაზე ბანკი "ინბოქსის" მფლობელს წლიურ სარგებელსაც ურიცხავს. ყოველი ჩარიცხვის შესახებ "ინბოქსის" მფლობელი მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით შეიტყობს და, შესაბამისად, საკუთარ ანგარიშზე არსებული თანხის კონტროლიც შეეძლება," - აცხადებს "ბანკი კონსტანტას" პროდუქტების განვითარების მენეჯერი გიორგი სიბაშვილი.

დასკვნითი ნაწილის დაწყებამდე ეთნოგრაფიულ მუზეუმში არტ-გენის ორგანიზატორებისა და "ბანკ კონსტანტას" წარმომადგენლების მონაწილეობით პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ბანკის მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი გოგუამ, ფესტივალთან დაკავშირებული სიახლეების გარდა, მოულოდნელი განცხადება გააკეთა: **"კახეთში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო, დღეს დილით, კახეთის რეგიონის მხარდასაჭერად,** "ინბოქსი" გავხსენით, რომლის ნომერიც არის 11-11-11. დღეიდან ნებისმიერ ქართველს შეეძლება, ამ სასიკეთო საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანოს და ყველანი ერთად, გვერდში დავუდგეთ კახეთს მიყენებული ზარალის დაძლევაში." "ინბოქსის" გახსნა "არტ-გენის" ნებისმიერ სტუმარს ადგილზე, სპეციალურ დახლებთან შეეძლება, რომლებიც სამომავლოდ მთელს ქალაქში განთავსდება და "ინბოქსის" მფლობელს ბანკში სტუმრობა მხოლოდ ერთხელ - თანხის გამოტანისას მოუწევს.

გარდა ამისა, Facebook-ის მეშვეობით გავრცელდება აპლიკაცია, რომლითაც მსურველებს "ინბოქსის" ანგარიშის გახსნა და საჩუქრად "არტ-გენის" დასკვნითი ნაწილის ყველა ღონისძიებაზე უფასოდ დასწრება შეეძლებათ.

ფესტივალი "არტ-გენი 2012" თბილისში დღეს გაიხსნება და 29 ივლისს დაიხურება. ორგანიზატორების განცხადებით, როგორც ყოველთვის, "არტ-გენი" წელსაც მრავალფეროვანი და საკმაოდ საინტერესო იქნება. ფესტივალზე წარმოდგენილნი იქნებიან ხალხური სიმღერის, ინსტრუმენტალური მუსიკის, ქორეოგრაფიის, ზეპირსიტყვიერებისა და რეწვის ოსტატები საქართველოს ყველა კუთხიდან, ასევე საქართველოში მოღვაწე ეროვნული უმცირესობები, სტუმრები კავკასიიდან, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან (ლიტვა, საფრანგეთი, პოლონეთი, შოტლანდია, ინგლისი და სხვ.), აფრიკასა და მადაგასკარიდან.

ფესტივალი "არტ-გენი" უკვე მეცხრე წელია ტარდება და მას ყოველწლიურად თან სდევს ახალი აქტუალური თემა. ტრადიციულად, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან ერთად, ფესტივალის წლევანდელი დევიზია "გაუფრთხილდი ოჯახს", რაც ღირებული ოჯახური ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების გაფრთხილებასა და თაობიდან თაობაზე გადაცემას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ ფესტივალმა 3 ივლისს, კახეთში აიღო სტარტი და რეგიონული ტური საქართველოს რამდენიმე ქალაქში - ყვარელში, ზუგდიდში, წყალტუბოში, ჩოხატაურსა და ფოთში ჩატარდა.

პროექტი ევროკავშირის მიერაა დაფინანსებული. ფესტივალის მხარდამჭერები არიან: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია. "არტ-გენის" გენერალური სპონსორია "ბანკი კონსტანტა."

სირიელი ამბოხებულები საზღვრებს აკონტროლებენ

ვირველი გვერდიდან

ამბოხებულებმა არმიის მხრიდან ინტენსიური დაბომბვის შემდეგ ტაქტიკური უკანდახევის შესახებ გააკეთეს განცხადება.

გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ჩინეთისა და მოსკოვის მიერ რეზოლუციის დაბლოკვას საერთაშორისო ასპარეზზე მწვავე კრიტიკა მოჰყვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის ელჩის სიუზას რაისის სიტყვები კი ვაშინგტონის მუქარად აღიქვეს - იმოქმედონ სირიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით. რუსულმა მხარემ დასავლეთი ცინიზმში დაადანაშაულა. ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა თავის მიმართვაში განაცხადა. **"რუსეთისთვის მიუღებელია დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მცდელობა, სირიის კონფლიქტში რუსეთი დაადანაშაულონ. ჩვენ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდით, კონფლიქტის პოლიტიკური რეგულირების გზა მოგვეძებნა. სირიის სამოქალაქო ომის დამთავრება შეუძლებელია სამხედრო ძალის გაზრდითა და ტერორისტების წახალისებით. ამ ფონზე ცინიკური ჩანს რეზოლუციის ჩავარდნის შემდეგ დასავლეთის ზოგიერთი დელეგაციის განცხადება, თითქოს ძალადობის შემცირება მხოლოდ ბაშარ ასადზე ცალმხრივი ზეწოლით შეიძლება,"** - თქვა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა საგანგებო ბრიფინგზე.

გუშინ საფრანგეთში რუსეთის ელჩმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თითქოს ბაშარ ალ-ასადი მზადაა გადადგეს. თუმცა, ალექსანდრე ორლოვის სიტყვები მალევე თავად ოფიციალურმა დამასკომ უარყო.

დამასკოს ერთი რაიონის გაწმენდამდე კი სირიის დედაქალაქიდან საბრძოლო მოქმედებები უკვე სასაზღვრო რაიონებშიც გაიშალა. ამბოხებულებმა საგუშაგო-გამშვები პუნქტები აიღეს. საუბარია ჯერ-ჯერობით ერაყთან და თურქეთთან სასაზღვრო რაიონებზე. შეტაკებებს ბაბ-ჰავასა და სარმადის პუნქტებზე მსხვერპლიც მოჰყვა ასადის არმიის მხრიდან. ბოლო მონაცემებით, დაღუპულია ასამდე ჯარისკაცი. ერაყის ხელისუფლება სასაზღვრო რაიონებში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებულია და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სირიელმა ამბოხებულებმა საზღვარი არ გადაკვეთონ და ერაყშიც არ გამოინვინონ არეულობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოზე კი დასავლეთის მიერ ინიცირებული რეზოლუციის ჩაგდება ჩინურმა მხარემ, რუსეთის მსგავსად, ასადზე ცალმხრივი ზეწოლის დაუშვებლობით ახსნა. **"დასავლეთის რეზოლუცია შინაარსობრივად სერიოზულად პრობლემატურია, რადგან სირიაში მხოლოდ ერთ მხარეზე ზეწოლას გულისხმობდა. გამოცდილებით მტკიცდება, რომ ასეთი პრაქტიკა კრიზისის დაძლევას, მით უფრო, შეიარაღებული კონფლიქტის გადაწყვეტას ვერ უზრუნველყოფს,"** - განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ლი ბოდონმა.

უშედეგო შეხვედრა გააკრიტიკეს ლონდონმა, ვაშინგტონმა და პარიზმა, რადგან გაერომ სირიელი ხალხის მოლოდინი ვერ გაამართლა. დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მოსკოვისა და პეკინის მოქმედებას უპატიებელი შეცდომა უწოდა.

"აღშფოთებული ვარ რუსეთისა და ჩინეთის მოქმედებით. სირიაში ვითარება დღითიდღე უარესდება. ყოველდღიურად ასზე მეტი ადამიანი კვდება. ქვეყანა - კოლაფსის პირას, ხოლო მისი მეზობლები ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის რეგიონზე გავრცელების საფრთხის წინაშე არიან," - აღნიშნა დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა უილიამ ჰეიგმა.

და ბოლოს, სირიის მხრიდან უსაფრთხოება ბოლომდე გარანტირებული არც ისრაელის საზღვარზეა. გოლანის მაღლობებთან, რომლებიც ბუფერულ ზონად მიიჩნევა და მასზე პასუხისმგებლობა გაეროს აქვს აღებული, ასევე სროლის ხმა ისმის.

თათრეთის მუფტიზე თავდასხმაში ეჭვმიტანილები დააკავეს

სალომე ჭანიაშვილი

პარასკევს, დილით დააკავეს 4 ეჭვმიტანილი, რომელთაც ბრალად ედებათ რელიგიური გაერთიანების ხელმძღვანელ ილდუს ფაიზოვსა და მის ყოფილ მოადგილეზე ვალიულა იაკუპოვზე თავდასხმა, რის შედეგადაც იაკუპოვი დაიღუპა. უკვე ცნობილია სავარაუდო დამნაშავეთა სახელებიც. ესენი არიან: ბიზნესმენი, 57 წლის რუსტემ გატაულინი, რომელიც მსხვილი კომპანია "იდელ ჰაჯის" ხელმძღვანელია; 39 წლის მურატ გალეევი - მრევლ "ვაკფის" ხელმძღვანელი; ვისოგორსკის რაიონის მცხოვრები, 41 წლის აირატ შაკიროვი და ლაივშკის რაიონის მცხოვრები, 31 წლის აზატ გაინუტდინოვი. მოგვიანებით დააკავეს მეხუთე ეჭვმიტანილი, ყაზანში მცხოვრები, უზბეკეთის მოქალაქე აბდუნოზიმ ატაბოევი.

რუსტემ გატაულინი არის "იდეალ ხაჯის" დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელი, რომელიც ფიგურირებს მუფტიიზე თავდასხმის საქმეში. ბიზნესმენი პირდაპირ ყაზანის აეროპორტში აიყვანეს, როდესაც ის მოსკოვიდან დაბრუნდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ფაიზოვის მკვლელობის მცდელობა შესაძლოა დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ მან კონტროლის ქვეშ აიყვანა ხაჯის ფინანსების მოძრაობა. გამოძიებს ვერსიით, დანაშაულის მთავარი მოტივი - დაზარალებულების პროფესიული ქმედებებია, ასევე მათი იდეოლოგიური შეუთანხმებლობა ოპონენტებთან," - განაცხადა მარკინმა.

გამოძიების თავდაპირველი ვერსიით, თავდასხმა შეიძლებოდა ადგილობრივი ვაჰაბიტების ორგანიზებული ყოფილიყო, რადგან იაკუპოვი და ფაიზოვი ხშირად გამოდიოდნენ სიტყვით მეჩეთში რელიგიური ექსტრემისტების წინააღმდეგ. ისინი მუქარის წერილებსაც ხშირად იღებდნენ. ფაიზოვის მანქანაზე ექსპერტებმა მაგნიტებით დამონტაჟებული ბომბები აღმოაჩინეს. ფაიზოვი, ძირითადად, მძღოლის მომსახურებით სარგებლობდა, ამ შემთხვევის დროს კი ის თავად იჯდა საჭესთან, რაც მისი გადარჩენის მთავარი მიზეზი გახდა. აფეთქების ძირითადი დარტყმა მძღოლის გვერდზე მდებარე სკამისკენ იყო მიმართული. თავად ფაიზოვი ამბობს რომ მას იაკუპოვის დაღუპვის შესახებ ტელეფონით აცნობეს, სწორედ ამ მომენტში იგრძნო მან აფეთქების პირველი ტალღა და მანქანიდან გადმოხტა.

ყოფილ მოადგილესა და სულიერ ლიდერზე თავდასხმა თითქმის ერთდროულად მოხდა, ქალაქის სხვადასხვა რაიონში, მუსულმანთათვის წმიდა თვის რამადანის დაწყებამდე ერთი დღით ადრე.

თავდასხმების ზუსტი მიზეზები ამ ეტაპზე ცნობილი არ არის. თათრეთის პრეზიდენტმა რუსტამ მინიხანოვმა დააწესა ჯილდო - ერთი მილიონი რუბლი მათთვის, ვინც მუფტიაზე და მის ყოფილ მოადგილეზე თავდასხმის შესახებ საჭირო ინფორმაციას მიაწვდის სამართალდამცავებს. რუსტამ მინიხანოვის განცხადებით, თავდასხმა დაკავშირებულია რელიგიური გაერთიანების ხელმძღვანელის პროფესიულ საქმიანობასთან. მომხდარს მან "აშკარა გამოწვევა" უწოდა. თათრეთის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტმა სასულიერო ლიდერის მკვლელობის მცდელობა, როგორც ტერაქტი, ისე შეაფასა.

პარასკევს ყაზანში გაიმართა ვალიულა იაკუპოვის გამოსამშვიდობებელი ცერემონია, რომელიც საკუთარ სახლთან ჩაცხრილეს. იაკოპოვთან გამოსამშვიდობებლად ხალხი რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის, მოსკოვიდან და სამარიდან ჩავიდა.

იაკუპოვის მკვლელობასთან და ფაიზოვზე თავდასხმასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გააუქმეს ყველა გასართობი ღონისძიება.

მომხდარის შესახებ განცხადება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმაც გააკეთა. მისი განცხადებით, სიტუაცია რუსეთში შორს არის იდეალურისგან. პრეზიდენტის სიტყვებით, სამართალდამცავები ყველა ღონეს იხმარენ, რათა დამნაშავეები შესაბამისად დასაჯონ.

სასაკლაო "ბეტმენის" პრემიერაზე

ივა შილაკაძე

კოლორადოს შტატში, პატარა ქალაქ ავრორას (ეს ქალაქი დენვერთან ახლოს მდებარეობს) კინოთეატრში "ბეტმენზე" ახალი ფილმის პრემიერის დროს ტრაგედია მოხდა. მოკლულია, სულ ცოტა, 12 ადამიანი და დაჭრილია 50-ზე მეტი. დაღუპულებს და დაჭრილებს შორის არიან ბავშვებიც.

როგორც ირკვევა, დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა ფილმის "შავი რაინდი: ლეგენდის აღორძინება" პრემიერა, შევიდა შავ ტანსაცმელში და აირწინაღში გამოწყობილი ბოროტმოქმედი, დარბაზში ისროლა ერთი ვერსიით კვამლსადენი ყუმბარა, სხვა ვერსიით კი გაუშვა ცრემლსადენი გაზი და აუჩქარებლად დაიწყო სროლა. ის ნელა ადიოდა კიბეებზე და განურჩევლად ისროდა ხალხის მიმართულებით, თოფით და პისტოლეტით. დარბაზში მსხდომმა ადამიანებმა სწრაფად ვერც გააცნობიერეს, რა ხდებოდა. მათ თავიდან ეს ფილმის პრემიერის ნაწილი ეგონათ.

ათი ადამიანი ადგილზევე დაიღუპა, ოთხი საავადმყოფოებში გარდაიცვალა მიღებული ჭრილობებისგან. კიდევ 50 დაშავებულიდან რამდენიმე ადამიანის მდგომარეობა მძიმეა და არ არის გამორიცხული მოკლულთა რაოდენობის ზრდა. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები, თუმცა პოლიცია არ დაელოდა მათ და დაჭრილთა ნაწილი სასწრაფოდ, პოლიციის მანქანებითვე გადაიყვანეს საავადმყოფოებში.

იქვე, ავტოსადგომზე დააკავეს ეჭვმიტანილი, რომელსაც აღმოაჩნდა შაშხანა და პისტოლეტი. ამ უკანასკნელმა წინასწარი დაკითხვისთანავე განაცხადა, რომ მას სახლში აქვს ასაფეთქებელი მოწყობილობები. ეჭვმიტანილია ჯეიმს ჰოლმსი. გამოძიებაში

ჩართულია გამოძიების ფედერალური ბიუროც. ამ უწყების ცნობით, ეჭვმიტანილი არ არის ტერორისტი და არ არის დაკავშირებული ისლამისტურ ორგანიზაციებთან. სახლს, რომელშიც არის ეჭვმიტანილის ბინა, სწრაფად შემოარტყეს ალყა. მთელი სახლიდან - სხვა ბინებიდან გაიყვანეს მოსახლეობა და ფრანკ ფანიას ბინაში შესვლა სცადეს. ბინა დანაღმული აღმოჩნდა. გამოიძახეს გამნაღმველებიც. ამ უკანასკნელების თქმით, ასაფეთქებელი მოწყობილობა იმდენად რთულია, რომ მის განაღმვას დასჭირდება რამდენიმე საათი ან დღეც. ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს კინოთეატრშიც, სადაც ტრაგედია დატრიალდა.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულების ოჯახის წევრებს და საკუთარ ადმინისტრაციას დაავალა, ნებისმიერი საჭირო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქ ავრორას მცხოვრებლებს.

საერთოდ, ქალაქი ავრორა ცნობილია დამნაშავეთა სიმრავლით. კოლორადოს შტატში მასობრივი მკვლელობები ადრეც მომხდარა. მაგალითად, 1999 წელს ქალაქ ლიტლტონში სკოლა "კოლუმბაინის" ორმა მოსწავლემ სროლა ატეხა. მათ 12 მოწაფე და ერთი მასწავლებელი მოკლეს.

პანეტამ პენტაგონს მედიის მონიტორინგის დაწყება უბრძანა

ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ პენტაგონის მაღალჩინოსნებს, საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვასთან დაკავშირებით, ამერიკის მსხვილი მედიასაშუალებების მონიტორინგის დაწყება უბრძანა. ამ განცხადებამდე კი პანეტა, თავდაცვის სხვა ოფიციალური პირებთან ერთად, წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის წინაშე წარდგა, სადაც საიდუმლო დოკუმენტების უკანასკნელ გაჟონვაზე იმსჯელეს. საქმე ეხება ირანის წინააღმდეგ კიბერ-ომის წარმოებასა და იემენის შეიარაღებულ მებრძოლებში ორმაგი ჯაშუშის შეგზავნას. ზოგიერთი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ეს გაჟონვა ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სასარგებლოდ მოხდა. შეგახსენებთ, რომ ნოემბერში ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება.

მედიამონიტორინგის გარდა, პენტაგონი ინფორმაციის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად მომავალ თვეებში მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმას გეგმავს. რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ობამას მეტოქე იყო, აცხადებს, რომ საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა მოახლოებულ არჩევნებში დემოკრატების კანდიდატ ბარაკ ობამასთვის ქულების დაწერას ისახავდა მიზნად. აღნიშნულს თეთრი სახლი კატეგორიულად უარყოფს.

"ჩრდილოეთ კორეის გენშტაბის უფროსის გადაყენებას სროლა დასჭირდა"

ჩრდილოეთ კორეის არმიის გენერალური შტაბის უფროსის გადაყენებას ურთიერთსროლები მოჰყვა, რასაც 20-დან 30-მდე სამხედრო ემსხვერპლა. აღნიშნულის შესახებ სამხრეთ-კორეული გამოცემა "ჩისონ ილბო" წერს. გამოცემის მიხედვით, ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ვიცე-მარშალ ჩხვე რენ ხეს უნდა შეესრულებინა ლი იონ ჰოს გათავისუფლების ბრძანება. როდესაც ლი იონ ჰოს დაკავება სცადეს, მან ჩაბარებაზე უარი თქვა და ცეცხლი გახსნა.

სამხრეთ კორეის დაზვერვის წყარო დასაშვებად მიიჩნევს, რომ თავად ლი იონ ჰო ურთიერთსროლის დროს დაჭრილი ან დაღუპულია. ამ ვერსიას ის ფაქტი ამყარებს, რომ გათავისუფლების შემდეგ იგი საჯაროდ არ გამოჩენილა. გენშტაბის ხელმძღვანელის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია 16 ივლისს გავრცელდა. ოფიციალური ვერსიით, აღნიშნულის მიზეზად ლი იონ ჰოს ჯანმრთელობის მდგომარეობა დასახელდა (ამაზე უკვე წერდა "24 საათი").

როგორც "ჩოსონ ილბო" აღნიშნავს, ურთიერთსროლების ფაქტის დადასტურება ამ დროისათვის "ასი პროცენტით ვერ ხერხდება" და ცნობის ზუსტად დადგენისათვის დამატებითი დროა საჭირო.

"სანქციების არიდებისათვის ირანი უცხო ქვეყნის დროშებს იყენებს"

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საზღვაო ინდუსტრია გააფრთხილა, რომ ირანული გემები დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების თავიდან ასარიდებლად უცხო ქვეყნების დროშებს იყენებენ. ამერიკამ და ევროკავშირმა ირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შეჩერების მიზნით ქვეყნის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესეს. ამერიკის მიერ დაწესებული ჯარიმის გამო, ირანული ნავთობის უმსხვილესმა იმპორტიორმა ქვეყნებმა ისლამურ სახელმწიფოსთან ვაჭრობა შეამცირეს. ამერიკის განცხადებით, ნავსადგურების მმართველები ფხიზლად უნდა იყვნენ, რათა ხომალდების გაყალბებული რეგისტრაცია და ყალბი დროშები არ გამოეპაროთ.

აშშ-ს კონგრესი პენტაგონს რუსული ვერტმფრენების შესყიდვას უკრძალავს

ამერიკის კონგრესის წარმომადგენლთა პალატის დეპუტატებმა პენტაგონისა და "როსობორონექსპორტს" შორის კონტრაქტის გაუქმებას დაუჭირეს მხარი. კონტრაქტი რუსი ვერტმფრენების შესყიდვას ეხებოდა. ამ გადაწყვეტილების მიზეზად რუსეთის მიერ სირიის შეიარაღება დასახელდა. ცოტა ხნის წინ ამერიკის თავდაცვის უწყებამ რუსული მი-17 ტიპის ვერტმფრენების შესყიდვის შესახებ გააფორმა ხელშეკრულება, რომელსაც ავღანეთისათვის გამოიყენებდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, გარიგების ღირებულება 640 მილიონ დოლარს შეადგენდა (ეს ვერტმფრენები თავის დროზე ზუსტად ავღანეთის რელიეფისთვის შეიქმნა).

აღნიშნული გარიგების გაუქმების შესახებ შესწორება 2013 წლისათვის ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტის კანონთან ერთად მიიღეს. ახლა ეს ორივე საკანონმდებლო ინიციატივა სენატმა უნდა დაამტკიცოს. აღნიშნული შესწორების ავტორი დემოკრატი კონგრესმენი ჯიმ მორენია: "ამერიკისათვის სრულიად მიუღებელია ისეთ კომპანიასთან მუშაობა, რომელიც დესპოტურ სირიის რეჟიმს ამარაგებს," - აღნიშნავს მორენი. საინტერესოა, რომ ამ გარიგების ჩაშლა კონგრესმენების ნაწილს დიდი ხანია სურდა, ამჟამად კი სირის კრიზისის სახით მათ საბაბი ჩაუვარდათ ხელში.

გუშინწინ ჩინეთმა და რუსეთმა კიდევ ერთხელ დაბლოკეს სირიის შესახებ რეზოლუციის მიღება. რუსეთი უკვე გამოეხმაურა აღნიშნულს. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში საუბარია, რომ კონგრესი ამ გადაწყვეტილებით რუსეთს სირიის შესახებ რეზოლუციაზე დადებული ვეტოსათვის სამაგიეროს უხდის.

მოამზადა თამთა კახაძემ

ფოტოპროექტი "წარსულთან შეხვედრა"

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მიზნად დაისახა, განახორციელოს პროექტი "წარსულთან შეხვედრა", რაც ოჯახებში დაცული ფოტოდოკუმენტების გაციფრებას ითვალისწინებს.

"განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების ფოტოდოკუმენტები, მათი სკოლის გამოსაშვები ალბომები, რადგან ეს მასალა შეიცავს ისეთ პირთა ფოტოებს, რომლებიც ამ პირთა ოჯახისათვის მიუწვდომელი და საფუკვარია. ყველა ოჯახში ინახება ფოტოალბომები, რომლებიც ამ ოჯახის წევრთა წარსულს ასახავენ. ეს ფოტოები არა მარტო ამ ოჯახის, ხშირად ქართული საზოგადოებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს თავისი წინაპრის ფოტო არ აქვს. აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტრაგედიის შემდეგ ბევრ ჩვენს მოქალაქეს საკუთარი მშობლების ფოტოებიც აღარ დარჩათ, არადა, ხშირად ეს ფოტოები სხვადასხვა ოჯახში ან არქივშია გაბნეული," - ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე.

1928 წლამდე საქართველოს სახელმწიფო არქივიც არ ინახავდა საქართველოს მოქალაქეთა ფოტოსურათებს. ამიტომ პროექტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრების ამსახველი ფოტოები.

პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში დაცული როგორც ფოტოკოლექციების ხელმისაწვდომობას, ასევე მათი ციფრული სახით შენახვას. იგი ითვალისწინებს ოჯახებში დაცული იმ ფოტოების იდენტიფიკაციას, რომელზედაც ჩვენთვის უცნობი და ჩვენი წინაპრებისთვის კარგად ნაცნობი პირებია გამოსახული, აგრეთვე, თქვენი წინაპრების ფოტოდოკუმენტების გაცნობას საზოგადოებისთვის. ბიბლიოთეკა უფლებას იტოვებს, შეარჩიოს სურათები ციფრული ფოტოკოლექციის დაკომპლექტების გათვალისწინებით, ასევე ოჯახი იტოვებს უფლებას, თავად შეარჩიოს ფოტო ინტერნეტში განსათავსებლად.

პროექტში მონაწილეობისათვის საჭიროა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოეკასთან დაკავშირება ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით და რამდენიმე საათით თქვენს ოჯახში დაცული ფოტოების ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარდგენა.

თანამედროვე მწერალთა ხმები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის აუდიოსტუდიაში ლიტერატურული პრემია "საბას" წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ნომინაციაში გამარჯვებულმა მწერალმა ბესო ხვედელიძემ თავისი ნაწარმოებები ჩაწერა გამარჯვებული კრებულიდან "წითელი".

ეროვნულმა არქივმა პროექტის განხორციელება ცოტა ხნის წინ დაიწყო, რომლის ფარგლებშიც თანამედროვე ავტორები საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ და მათი ფონოჩანაწერები არქივში, ათწლეულების წინათ შექმნილ ქართველი კლასიკოსი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების აუდიოჩანაწერებთან ერთად შეინახება. დაინტერესების შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეეძლება, არქივის მიერ შექმნილ ფონდში მოიძიოს და მოისმინოს მისთვის საინტერესო ავტორის ხმა.

ფონოარქივის სიმდიდრეს წარმოადგენს აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძისა და სხვათა ფონოჩანაწერები, რომელშიც ისინი საკუთარ ნაწარმოებებს კითხულობენ.

პროექტის ფარგლებში ეროვნული არქივის ფონოსაცავში ლიტერატურული პრემია "საბას" ყველა გამარჯვებულის, თანამედროვე ავტორების, ასევე ახალგაზრდა შემოქმედების ჩანაწერები შეინახება, რომლებიც წლებთან ერთად დიდ მნიშვნელობას შეიძენს. ეროვნული არქივი შეაძლებლობას აძლევს ნებისმიერ ავტორს, საკუთარი ხმა მომავალ თაობებს დაუტოვონ.

გოჩა ჯაფარიძის წიგნის "ძიებანი"

გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გოჩა ჯაფარიძის წიგნის "ძიებანი" პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც ავტორმა აღნიშნა, კრებულში თავმოყრილია 30-ზე მეტი სტატია საქართველოსა და ახლო ამოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე, ისლამის გავრცლებაზე საქართველოში, გენეალოგიურ, ონომასტიკურ და ტოპონიმიკურ ძიებებზე, ქართული დიპლომატიის ისტორიაზე, ქრონოლოგიაზე, ქართულ და ისლამურ ნუმიზმატიკასა და მეტროლოგიაზე, ქართული და უცხოური სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვები და რეცენზიები.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის დარეჯან თვალთვაძის თქმით: "წიგნი მრავალი კუთხით წარმოაჩენს იმ ისტორიას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთის ქვეყნებს, საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებს საქართველოსთან აკავშირებდა. არაბულ წყაროებზე დაყრდნობით, წიგნში წარმოდგენილია მრავალი ახალი მიგნება. ეს არის წიგნი, რომელიც საინტერესოა როგორც მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის, აგრეთვე, ძალიან საინტერესო და საჭიროა სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ ისტორიას. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს წიგნი გამოადგებათ ჩვენს სტუდენტებს როგორც სახელმძღვანელოდ, ხოლო ჩვენს მკვლევრებს როგორც საფუძველი შემდგომი ახალი კვლევებისა. უახლოეს ხანებში იგეგმება მისი მეორე და მესამე ნაწილის გამოცემაც."

თსუ პროფესორი გოჩა ჯაფარიძე ვალერიან გაბაშვილის მიერ ჩამოყალიბებული აღმოსავლემცოდნეობის სკოლის წარმომადგენელი, აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი, არაბისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორია. წლების მანძილზე იგი იმყოფებოდა არაბულ ქვეყნებში, დიპლომატიურ სამსახურში. 2007-2010 წლებში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩი სპარსეთის ყურის ქვეყნებში, ეგვიპტესა და სირიაში.

შემეცნებითი ალბომი... "ვეფხისტყაოსანი"

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

რამაზ ჭილაია

"ყოველივე ახლად აღმოჩენილი სიკეთენი, რა თქმა უნდა, მომზადებულ ნიადაგზედ იბადებიან და ჩნდებიან. ხოლო, რაკი ერთხელ გაჩნდებიან ერთს რომელიმე ნიადაგზედ, სხვა ნიადაგზედაც სახეირონი არიან, სხვა ნიადაგსაც არ ეუცხოებიან. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არსება, ბუნება, ახლად შემოსაღებისა, რომელიც თუნდ სხვა ნიადაგზედ იყოს ნაცადი და აღმოცენილი, თავისთავად სარგო და ხეირიანი იყოს." - წერდა ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ პოლემიკურ წერილში. ჩვენი სტატია არც რომელიმე პოლემიკის პასუხია და არც პოლემიკაში ვინმეს გამოწვევის მცდელობა, ილიას სიტყვები კი ახლახან გამოსული "ვეფხისტყაოსნის" შემეცნებითი ალბომის ნახვის შემდეგ გავიხსენეთ, რომელიც თანამედროვე საგამომცემლო ბაზრისთვის კარგად ნაცნობი შემეცნებითი ალბომის პრინციპით არის შედგენილი და გამოყენებულია ყველა ის შესაძლებლობა, რასაც თანამედროვე პოლიგრაფია გვთავაზობს.

თანამედროვე პოლიგრაფიით კი, მოგეხსენებათ, არა მხოლოდ ეფექტური ილუსტრაციების, სხვადასხვა ფორმისა და ფაქტურის ჩანართების თუ ე.წ სამი-დე ილუსტრაციის გაკეთების საშუალებას იძლევა. როგორც პროექტის იდეისა და შემეცნებითი ტექსტების ავტორი, ლიტერატურის თეორეტიკოსი რამაზ ჭილაია გვიხსნის,

ალბომის შექმნის მიზანია, მოზარდებს რუსთაველის პოემასთან მისვლა გაუადვილოს.

"ბავშვი წიგნთან მისვლას არის გადაჩვეული. ნებისმიერი ჩვენგანი, როცა თავის საყვარელ წიგნს იხსნებეს, პირველ რიგში, იგი ვიზუალურად უდგება თვალწინ. ეს ალბომი არის არა მხოლოდ მცირეწლოვანებისა და მოზარდებისთვის, არამედ უფროსებისთვის, მათთვისაც, ვინც პატარებს ამ წიგნს წაუკითხავს. წიგნი მათ დასაინტერესებლად შეიქმნა. ალბომის შედგენისას ჩემი ვიწრო სპეციალობაც დამეხმარა - როგორც განიხილავენ პოსტმოდერნისტები და პოსტსტრუქტურალისტები მკითხველს და ავტორს. არსებობს სამეცნიერო ტერმინი "მკითხველი" და არსებობს მკითხველისეული აღქმის მომენტი - ნებისმიერი ტექსტი ცოცხლდება მკითხველში, გნებავთ, არავერბალურ დონეზე, გნებავთ - გახმოვანებული. გარდა ამისა, გავითვალისწინე ისიც, რამდენად ამაღლდება ბავშვის თვალში იმ ცოდნის გადამცემი, რომელიც მას ამ წიგნში თავმოყრილ ინფორმაციას გააცნობს. წიგნში, ადაპტირებული ტექსტის გარდა, უამრავი ისეთი ინფორმაცია დევს, რაც საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი. ჩემი მიზანი არ იყო "ვეფხისტყაონის" განმარტების შექმნა, მე შევეცადე, მკითხველამდე, რომელისთვისაც პოემა ჯერ უცნობია, ამბავთმდინარეობა მიმეტანა, რომელიც მერე თავისებურად მოხარშავს ამ ტექტს. ამ წიგნის ძირითადი ფუნქცია ის არის, დაინტერესოს მოზარდი და როცა სკოლაში მის წინაშე პოემის შესწავლა დადგება, წამოვიდეს დადებითი იმპულსი, ფერადოვნება, რასაც წიგნის ვიზუალური მხარე მისცემს და არა უცხო სიტყვათა ნაკადი, რომელიც ჩვენს ახალგაზრდებს ასე აშინებს და სწავლის დროს ბარიერს უქმნის," - ამბობს რამაზ ჭილაია.

"ვეფხისტყაოსანი" საქართველოში ის ფენომენია, რომელსაც მხოლოდ აღმატებით ხარისხში მოვიხსენიებთ, მაგრამ ჩვენი ცხოვრების ყველაზე მტანჯველი მოგონება სწორედ მას უკავშირდება - ერთ დღეს, როცა სასკოლო პროგრამით მისი შესწავლის დრო დადგა, გაუგებარი სიტყვების ქარიშხალმა პირდაპირ წაგვლეკა, ისე, რომ მასწავლებლის ძალისხმევა, ჩვენი ყურადღება ამაღლებულსა და მშვენიერზე მსჯელობისათვის მიეპყრო, ამაო გამოდგა. რუსთაველის მიმართ პატივისცემა ცოტა მოგვიანებით მოდის ხოლმე - ავტორიტეტთა ნათქვამის დაჯერებით, ზრდასრულ ასაკში მასთან კიდევ ერთხელ მიბრუნებით, საზოგადოების განწყობით თუ, ზოგადად, ლიტერატურის კითხვის შედეგად. მოკლედ, ვისთან როგორ, თუმცა კი სკოლაში განცდილ კოშმარს მაინც ვერაფერი შლის მეხსიერებიდან. ამის თქმის უფლებას წლების მანძილზე იმ მშობელთა განწყობაზე დაკვირვება მაძლევს, რომელთა შვილები დამამთავრებელ კლასებში ძველი ქართული ლიტერატურის ტექსტებს სწავლობენ - ბავშვებზე მეტად ისინი ნერვიულობენ, დავობენ, მასწავლებლებს თუ სახელმძღვანელოების ავტორებს ტექსტის სირთულეში ადანაშაულებენ და, რაც მთავარია, ხმამაღლა აცხადებენ: ამხელა ქალი (კაცი) ვარ და "ვეფხისტყაოსნის" გაგება მე მიჭირს, მე-9-10 კლასელი როგორ გაიგებსო. საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის, პედაგოგებიც და სახელმძღვანელოთა ავტორებიც, თანხმობის ნიშნად თავს ხრიან: "ვეფხისტყაოსნის" გაგება იოლი ნამდვილად არ არის, ამაზე მეცნიერული კვლევა მიმდინარეობს და ცდილობენ, როგორღაც გაუადვილონ მოსწავლეებს და მათ მშობლებს ის სტრესი, რასაც მე-12 საუკუნის პოემის გააზრება ჰქვია. ამისათვის შევიდა სახელმძღვანელოში ცალკეული თავების შინაარსი, სავალდებულო პროგრამიდან ამოიღეს სტროფების ზეპირად სწავლა, ხდება პოემის თავების სხვადასხვა კლასებში გადანაწილება...

მე-12 საუკუნის ენა, მოზარდებისთვის სერიოზული ბარიერია პოემის აღსაქმელად, თუმცა სწორედ ამ ენაშია მისი ხიბლიც და ძალაც. მასწავლებლებს არჩევანი არ აქვთ: ტექსტი უნდა განმარტონ და მოზარდები რუსთაველის პოემის სამყაროს აზიარონ. ამას, სასწავლო პროგრამის გარდა, მათ ეროვნული თვითშეგნებაც სთხოვს. ამგვარ ეროვნულ ტექსტებთან მისასვლელად სხვადასხვა ერები სხვადასხვა დროს სხვადასხვა საშუალებას იყენებდნენ - სახალხო დღესასწაულებს, თეატრალურ და კინოხელოვნებას თუ ილუსტრირებულ გამოცემებს. "ვეფხისტყაოსნის" შემთხვევაში, ერთი ფრაგმენტული ეკარანიზაციის გარდა ("ქაჯეთის ციხის აღება"), არც თეატრი ახსოვს ვინმეს და არც ანიმაცია. ვეფხისტყაოსნის ტექსტთან "გაშინაურების" საქმეში ერთადერთ ნაბიჯად ტექსტის ერთდღიანი სახალხო კითხვა-აქცია შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც რამდენიმე წელი იმართებოდა უნივერსიტეტში და სადაც მონაწილეობა ნებისმიერს შეეძლო.

შემეცნებითი ალბომი "ვეფხისტყაოსანი", რომლის კონსტრუქციასა და დიზაინზე იმუშავა დაჩი გრძელიშვილმა, ხოლო მხატვრობაზე - ბესიკ დუღაშვილმა, რუსთაველის პიროვნებისა და ეპოქის ახსნით იწყება, სადაც მოძრავი ჩანართები გვაცნობენ ქართულ იარაღსა და საჭურველს, თამარის ხელრთვასა და ბეჭედს, ჩვენამდე მოღწეულ მის გულსაკიდ სანაწილე ჯვარს, მონეტას, ბედიის ბარძიმსა და ხახულის ხატს, სვანური დროშის - ლემის ბუნიკის მოოქროვილ ტარს - იმ კონტექსტის გასააზრებლად, რომლის წიაღშიც რუსთაველის პოემა შეიქმნა. ხოლო ეგრეთ წოდებული ფოფ აპის ეფექტი ყმაწვილების თვალწინ ქაჯეთის ციხეს აცოცხლებს.

ალბომში ერთ ჩანართადაა თავმოყრილი "ვეფხისტყაოსნის" მარგალიტები - აფორიზმები, განმარტებულია ასტროლოგია და გეოგრაფია და აქვე დატანილია მე-12 საუკუნის არაბი გეოგრაფისა და მოგზაურის მუჰამედ ალ-იდრისის რუკა - "ტაბულა როჯერიანა", სადაც ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებს შორის საქართველოც არის აღნიშნული.

მსოფლიოში დღემდე არსებულ "ვეფხისტყაოსნის" 402 გამოცემას შორის, ერთი მინიატურული გამოცემაც არსებობს - რომელიც 1943 წელს ჰიტლერის ბრძანებით დაიბეჭდა ბერლინში, ქართველი ჯარისკაცებისათვის. წიგნი მინიატურულია, მას ჯარისკაცები ჩექმაში ატარებდნენ. აღმოჩნდა, რომ თბილისში მისი სამი ეგზემპლარი არსებობს, ჩექმაში დებისგან დაზიანებული.

ალბომისათვის დამოუკიდებელი მხატვრობა გაკეთდა. ყველა თაობას კლასიკური ტექსტების თავისებური ვიზუალური აღქმა აქვს. "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრირება მე-17 საუკუნეში მამუკა თავაქარაშვილისეული მინიატურებით იწყება, რომელიც მე-19 საუკუნეში მიხაი ზიჩმა გააგრძელა და შემდეგ უკვე მე-20 საუკუნის მხატვრებმა შებედეს. ამ სიტყვას იმიტომ ვხმარობ, რომ ქართველებს კლასიკურ ტექსტების მიმართ მოწიწება კონსერვატიზმში გადაგვდის ხოლმე, რის გამოც ამასწინათ შექმნილი "ვეფეხსიტყაონის" კინოპროექტის თრეილერი დიდი ვნებათაღელვის საგანი სწორედ მსახიობთა ტიპაჟების გამო გახდა. გასულ წელს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" პოემა მხატვარ დათო მაჭავარიანის ახალი ილუსტრაციებით გამოსცა, რითაც ქობულაძე-თოიძის კლიშე დაირღვა. ამჯერად ალბომი ბესო დუღაშვილის მხატვრობას გვთავაზობს. ამის პარალელურად, მკითხველს შეუძლია ჩანართში გაეცნოს წყლის პირას მჯდომი უცხო მოყმის ილუსტრაციის ყველა არსებულ ვერსიას. სერგო ქობულაძის ეს ნახატი ათიდან ცხრამ იცის, თოიძის - ცოტა ნაკლებმა, სევერიან მაისაშვილის, აბაკელიას და გუდიაშვილისეული ვერსიები კი - ერთი-ორმა. ტარიელის ხატებას მკითხველი თავისებურად წარმოიდგენს, ვარიაციები კი მას გააზრებაში ეხმარება. ალბომის შემდგენლები შეეცადნენ, სტერეოტიპები დარღვეულიყო, თუმცა ტექსტისეული ინფორმაციის შენარჩუნებას მაქსიმალურად შეეცადნენ - როგორი იყო ტანსაცმელი, საჭურველი, რა ფერის, ეპოქის გათვალისწინებით. მხატვარმა იმის მისანიშნებლად, რომ არაბი, ინდოელი და მულღაზანზარელი გმირები სინამდვილეში ქართველები არიან, ცხენების მოსართავზე, ცენტრში, ქართული ბორჯღალი დასვა. ესეც ერთი შტრიხია მკითხველის ვიზუალურ მეხსიერებაში ჩასაბეჭდად, რაც მას მუდამ გაახსენებს, რომ მისმა დიდმა წინაპარმა ეს პოემა ქართულ ხასიათებზე და ქართულ ურთიერთობებზე ააგო.

"ეს უპირვილესად მასწავლებლის წიგნია. ის აიღებს აქედან მასალას ინტერპრეტაციისათვის. ჩვენ არავის არაფერს ვაძალებთ, არამედ ვაწვდით იმას, რაც მოვიძიეთ და დავალაგეთ, კრეატივი კი უკვე მათზეა," - ამბობს რამაზ ჭილაია.

შემეცნებითი ალბომი "ვეფხისტყაოსანი", ქართულ ენის გარდა, ასევე გამოიცა ინგლისურ ენაზე და უკვე გაყიდვაშია, ხოლო სულ მალე მას რუსულენოვანი მკითხველიც მიიღებს.

ამერიკა ერთობა

ალექსანდრე ასათიანი

ამერიკელების ჭოკერი, მისტერ ლებრონ ჯეიმსი

ამერიკელები ლონდონში გაერთობიან, მოსაგებს მოიგებენ და უცებ დახურავენ ოლიმპიურ ციკლს. ამერიკელები ჩიფსებისა და ფერგიუსონების უბანში ჩადიან და ბევრი გარჩევა ბევრით, დიდი სხვაობით უნდა მოიგონ. მაიკ კჟიჟევსკი ამერიკის ნაკრების ბოსია და ბოსი ისვენებს. ადრე, 20 წლის წინ, ბარსელონაში ჩაკ დეილიმ ჩაისეირნა. მისტერ დეილი ამერიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ყველაზე მშვიდი პერსონაჟი იყო. მთელი ტურნირის დროს დეილის არ აუღია წუთშესვენება და ამერიკამ ავტოგრაფების სესიით, უკომპლექსოდ მიანგრია საბონისები და დანარჩენები. მაშინ ამერიკის რუსტერში ლარი ბერდი, მეჯიქ ჯონსონი და მაიკლ ჯორდანი იყვნენ. დევიდ რობინსონი ორი ხელით არიგებდა ავტოგრაფებს და კარლ მელოუნი იდაყვებით იღებდა ქულებს. ჩარლზ ბარკლიმ იცელქა, სკოტი პიპენმა ხერესი მიირთვა და ამერიკამ ის ტურნირი ვუდსტოკივით დაამთავრა. სპორტის როლინგები ესპანეთში ბოლო ლაივზე ჩავიდნენ და იმღერეს. მაგარი გამოვიდა. ეს ამერიკაც სერიოზული ბენდია. კარგი სოლოისტებით და შარმით. ლონდონში ამერიკული ოცნების სანახავად აქსელ როუზიც ჩაისეირნებს. გაცვეთილი როკერი ახალი ამერიკის დეგუსტაციაზე ჩადის.

დიდ ბრიტანეთთან ტესტში ამერიკელების პირველ ხუთეულში იდგნენ კობი ბრაიანტი, დერონ უილიამსი, ლებრონ ჯეიმსი, კევინ დიურანი და ტაისონ ჩენდლერი. ბრიტებმა ხუთეულში ჯოელ ფრილენდი, ნეით რეინკინგი, მაიკ ლენზლი, პოუპს მენსა-ბონსუ და კაპიტანი, ლუოლ დენგი შეაგდეს. საინტერესო გარჩევა იყო. ამერიკა ერთობოდა, ბრიტანეთი კალათბურთს თამაშობდა და მერე ამერიკამ მოინდომა. მოგება, მეორე გუნდის დამცირება მოინდომა და შეუბერა. პირველმა ხუთეულმა დაიწყო, მეორე ხუთეულმა დაამთავრა და თამაში ლამაზად დაიხურა. დენგმა თავისი ქულები აიღო, კარმელო ენტონიმ ბლომად ჩაყარა, კობი გაერთო და ამერიკამ დაისვენა. ყველა კმაყოფილი იყო.

დიდ შესვენებაზე ამერიკას +19 აქვს. "ბრუკლინის" ლარა კროფტმა, მისტერ დერონ უილიამსმა მესამე მეოთხედი თავხედურად დაიწყო. წაუსტრითბოლა, საქმე გააკეთა და სამიანები ჩაყარა. მანჩესტერში კჟიჟევსკის კრიმინალებმა გადაჭრეს ბრიტანეთი და 16 979 გულშემატკივარი გაერთო. დენგმა საქმეს მიხედა და ამერიკამ დენგს მიხედა. ლუოლს სროლა დაუტოვეს, კაპიტანმა თავისუფლება მიიღო და დანარჩენებს ყური აუწიეს. დანარჩენები ამერიკულ კონსპექტებს დაიზეპირებენ და დიდი ბრიტანეთი დიდ ბრიტანეთზე უკეთესი, უფრო მოქნილი გუნდი იქნება. დერონისგან, კობისგან და დანარჩენი კიბორგებისგან ბევრს აითვისებ. დენგმა ბევრი რაღაც უნდა აუხსნას ბიჭებს. უკეთესი იქნება.

დერონმა 6 სამიანიდან 5 ჩასვა. ამერიკა სიღრმით, უკეთესი ბიჭებით უკეთ თამაშობს და ამერიკამ ყველა ამერიკელის ბონუსები გამოიყენა. კარმელო ენტონი კარგად აყენებს ცენტრს მესამე ნომრებზე და მეოთხე ნომრებს სისწრაფით უხაზავს. ლებრონ ჯეიმსი ლებრონ ჯეიმსია. მას ვერ იყენებენ. ის, ლებრონი, თვითონ გამოგიყენებს. ტაისონ ჩენდლერი, ქულების აღების თვალსაზრისით, ერთჯერადი პერსონაა და მისტერ ჩენდლერი ჩასაგდებს ჩაგდებს, მოსახსნელს მოხსნის, არ დაიძაბება. კევინ ლავი ამერიკული ოცნების თეთრი ბარკლია. ლავი "მინესოტაში" ლარი ბერდის ნდობას და სროლას იღებს. ამერიკის ნაკრებში ლავი, უბრალოდ, კარგი ბიჭია. კევინმა ეს იცის და ის მზად არის ტურნირისთვის. ლავმა უნდა აკრიფოს. კევინ დიურანმა სუპერფინალი ვერ მოიგო. მერე ჯეიმს ჰარდენის მხარზე წაიქვითინა და ოლიმპიადისთვის აზრზე მოვიდა. დიურანი ცუდი ბიჭია, ამერიკისთვის - კარგი და, ზოგადად, ცუდი, საშინლად აუტანელი. კევინმა უნდა მოუმატოს. კრის პოლი ჯერ მეორე ხუთეულში ზის და თუ კჟიჟევსკი დერონს ბოლომდე ენდობა, კრისი მეორე ხუთეულის ფლეიმეიქერი იქნება.

მაიკ კჟიჟევსკი: "რა არაჩვეულებრივი დარბაზი, გულშემატკივარი იყო. მანჩესტერმა ორი კარგი გუნდის კალათბურთი მიიღო. ლუოლ დენგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. დენგი დიდი ბრიტანეთის ლიდერია. მოთამაშე, რომელსაც ამერიკის ნაკრებში პატივს სცემენ. ლუოლმა მაქსიმუმი გააკეთა, მაგრამ ჩვენ უფრო სწრაფად გავაკეთეთ საქმე და დიდმა ბრიტანეთმა ბევრი შეცდომა დაუშვა. ჩემმა გუნდმა გუნდურად ითამაშა. ეს ჩვენი კალათბურთია. ამერიკის ნაკრებში ბევრი ლეგენდაა და ყველამ იცის, რომ წარმატება მხოლოდ გუნდური კალათბურთით მოვა. ბევრ რაღაცაზე ვმუშაობთ."

დიდ ბრიტანეთთან კარმელო ენტონიმ 19 ქულა და 4 პასი დასვა. 5/3 სამიანიც კარგი თემაა. "ნიქსის" ფორვარდი ყველაფერს იდეალურად აკეთებს და კარმელომ ხანდახან სხვებიც უნდა შეამჩნიოს. 4 პასი კარგია და ორჯერ მეტი გაუცემელი პასი - ძალიან ცუდი.

დიდ ბრიტანეთთან კევინ ლავმა 15 წუთში 6 ქულა და 3 მოხსნა წამოიღო. 4 ფოლთან ერთად. დიდი ბიჭი ბარკლის, მელოუნის და ადმირალის საუკეთესო მიქსტია. ლავი გუნდის ხერხემალია. რაღაც მომენტში კჟიჟევსკი ბიჭს ძირითადში გადმოაგდებს. ჩენდლერი დაისვენებს და დასვენებული ლავი პრობლემებს მოაგვარებს. საინტერესო იქნება.

დიდ ბრიტანეთთან ჯეიმს ჰარდენმა ლიმიტირებულ დროში 9 ქულა და რამდენიმე პასი დადო. ჯეიმსიც აზრზე მოდის. ლებრონთან ფინალის წაგების შემდეგ. ჰარდენი მკვლელია.

დიდ ბრიტანეთთან კრის პოლმა 3 ქულა და 6 პასი დააგროვა. კრისი ბლეიქ გრიფინის გარეშე აკეთებს საქმეს და უკვე მოიწყინა. პოლი ნაკრების ინტელექტია. ეს ყველამ იცის.

დიდ ბრიტანეთთან თავისი დრო პირველწლიანმა ენტონი დევისმაც მიიღო. 13 წუთი, 11 ქულა, 7/5 ზუსტი სროლა, 3 მოხსნა და 4 დაფარება. ეს უკვე მარკუს კემბის ტერიტორიაა.

დიდ ბრიტანეთთან რასელ უესთბრუქმა თითქმის ორმაგი დუბლი შეასრულა. 15 ქულა და 9 მოხსნა რასელურად სექსუალური და არარეალურია. რასი არაამერიკულ ამბებს და ლებრონთან ერთად თამაშს ეჩვევა. ცუდი ბიჭი და დაუნდობელი დიქტატორი. რასი გაიხსნება.

დიდ ბრიტანეთთან ანდრე იგუოდალაც დაღალეს. კჟიჟევსკის "სიქსერზის" ლიდერის დაცვა ერთხელ მოეწონა და ანდრე მაიკის ერთ-ერთი ფავორიტია. დენის როდმანის, კევინ გარნეტის, გარი პეიტონის და სკოტი პიპენის ელემენტები დაცვაში. იგუოდალამ ბრიტებთან 17 წუთში 2 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასიც მიიღო. ანდრე სხვების ჯოკრებს გადაჯოკრავს.

დიდ ბრიტანეთთან კობი გლიასეს წრუპავს, 19 წუთში 5 ქულას იღებს და ყველა ხედავს, რომ კობი ჯერ დადის. თუ ამერიკა ოლიმპიადაზე არ დაიღლება, ბრაიანტიც ძუნძულით დაასრულებს მთელ ამ ამბებს. კობი წინა ოლიმპიადაზე მარწყვებს თამაშობდა და კობი გაერთო. ბრაიანტი ევრობასკეტში ვერ იღლება. იქ ტელეტოვიჩები და ლორბეკები იღლებიან. კობი სხვა თემაა. კობი ელეგანტური აგრესია და კალათბურთის შოპენია. ან სნუპ დოგი.

დიდ ბრიტანეთთან ტაისონ ჩენდლერს 10 წუთში ქულა არ აუღია. სტაბილური, უღალატო ტაი.

დიდ ბრიტანეთთან დიურანმა 13 ქულა წამოიღო და 5 სამიანიდან 1 ჩასვა. ხდება ხოლმე. კევინი გამოსწორდება და დიურანმა ორი წლის წინ პირადად მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი.

დიდ ბრიტანეთთან ლებრონმა 20 წუთში 16 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი აკრიფა. ლებრონის უნივერსალიზმი საჭირო თემაა. ამერიკა ლებრონარიუმში გაიხსნება, ბოლომდე გაიშლება.

ამერიკელები ლონდონში გაერთობიან, მოსაგებს მოიგებენ და უცებ დახურავენ ოლიმპიურ ციკლს. ამერიკელები ჩიფსებისა და ფერგიუსონების უბანში ჩადიან და ბევრი გარჩევა ბევრით, დიდი სხვაობით უნდა მოიგონ. მაიკ კჟიჟევსკი ამერიკის ნაკრების ბოსია და ბოსი ისვენებს. ადრე, 20 წლის წინ, ბარსელონაში ჩაკ დეილიმ ჩაისეირნა. მისტერ დეილი ამერიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ყველაზე მშვიდი პერსონაჟი იყო. მთელი ტურნირის დროს დეილის არ აუღია წუთშესვენება და ამერიკამ ავტოგრაფების სესიით, უკომპლექსოდ მიანგრია საბონისები და დანარჩენები. მაშინ ამერიკის რუსტერში ლარი ბერდი, მეჯიქ ჯონსონი და მაიკლ ჯორდანი იყვნენ. დევიდ რობინსონი ორი ხელით არიგებდა ავტოგრაფებს და კარლ მელოუნი იდაყვებით იღებდა ქულებს. ჩარლზ ბარკლიმ იცელქა, სკოტი პიპენმა ხერესი მიირთვა და ამერიკამ ის ტურნირი ვუდსტოკივით დაამთავრა. სპორტის როლინგები ესპანეთში ბოლო ლაივზე ჩავიდნენ და იმღერეს. მაგარი გამოვიდა.

დიდ ბრიტანეთთან ტესტში ამერიკელების პირველ ხუთეულში იდგნენ კობი ბრაიანტი, დერონ უილიამსი, ლებრონ ჯეიმსი, კევინ დიურანი და ტაისონ ჩენდლერი. კჟიჟევსკი რაღაცებს შეცვლის და არ შეიცვლება საბოლოო შედეგი - ამერიკა გაერთობა და მოიგებს. როგორც ხდება ხოლმე. დანრჩენები დანარჩენები არიან. ესეც უცვლელია.

არგენტინა და ესპანეთიც გაიტესტებიან. მანუსთან და პოსთან საინტერესო იქნება.

ბენ უოლასი "დეტროიტში" დარჩა

ალექსანდრე ასათიანი

"დეტროიტში" ხუთი დაუნდობელი ბიჭი და ანტონიო მაკდაიესი "ლეიკერსს" ჭრიდნენ, ნაკერებიდან ძაფებს უღებდნენ. "დეტროიტში" პირველ ხუთეულს კრავდნენ უნივერსალი მცველი ჩონსი ბილაფსი, სწრაფი და ცუღლუტი მსროლელი რიჩარდ ჰამილტონი. იქვე იდგნენ ტაიშონ ორინსი და კიდევ ერთი ვან ჰელსინგი, მისტერ რაშიდ უოლასი. ხუთეულის მეხუთე ტიპი ბენ უოლასი იყო. მოძრავი მეოთხე ნომერი ცენტრის მოძრაობით და ჩარლი მენსონის სადიზმით. ბენ უოლასმა შეჭამა შაკი, ბენ უოლასმა შეუქმნა პრობლემები შემდეგ სუპერფინალში ტიმ დანკანს და ბენ უოლასმა "დეტროიტში" ბევრი მოასწრო. ბენმა ცოტა იმოგზაურა, "ჩიკაგოსგან" ბევრი მილიონი დოლარი მიიღო და "დეტროიტში" დაბრუნდა. რაღაცები არ იცვლება და უოლასმა კარიერა მიჩიგანში უნდა დახუროს. იყო კიდევ ორი ვარინატი ("საკრამენტო", "ბრუკლინი") და ბენი "პისტონზში" დარჩა. უოლასის კარგი სვლა.

"ლეიკერსთან" სერია ადრე, რვა წლის წინ იყო. "სან ანტონიოსთან" სერია ერთი წლის შემდეგ წამოვიდა. იმ "პისტონზმა" რაღაცები ვერ გაშიფრა და სატრანსფერო შეცდომები დაუშვა. არასწორი სელექციით, ცუდი გაცვლებით, სახელფასო თანხის ცუდად გადანაწილებით "დეტროიტმა" პერსპექტივა გადახაზა და "პისტონზი" ერთჯერადი გუნდი გახდა. ერთჯერადი გუნდი მოხუცი უოლასით, რომელსაც კალათბურთი ძალიან უყვარს. უოლასი კალათბურთით ისვენებს და მისტერ ბენმა მაქსიმუმი გააკეთა. თუ უოლასი კონტრაქტს სხვა გუნდთან გააფორმებდა, "დეტროიტის" ბოსები გაცვლაზე დაიწყებდნენ ფიქრს. უოლასი საჭირო ელემენტია და "დეტროიტის" ფრენჩაიზი ლეგენდებს, საჭირო პერსონაჟებს უფრთხილდება. უოლასმა კარგი კარიერა დატოვა და წასვლას აპირებდა. 37 წლის ბენი ისვენებდა და მერე ტელეფონმა დარეკა. კიდევ ერთხელ დარეკა. ერთხელაც ჩამორეკა და ბენზე რამდენიმე გუნდი გავიდა. უოლასი "პისტონზში" დარჩა და ბენისთვის სახელფასო პრობლემების მოსაგვარებლად "დეტროიტმა" ჩარლი ვილიანოვა ან ოსტინ დეი უნდა გაუშვას. ალბათ, გაუშვებს. უოლასი კონტრაქტს იმსახურებს და, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ახალი ხელშეკრულებით, შემდეგ სეზონში 2 მილიონ დოლარს მიიღებს.

უოლასს არ გაუკეთებია რეგულარულში საშუალო ორმაგი დუბლი. ბენი ამერიკულ გარჩევებს "ვაშინგტონში" იწყებს და პირველ სამ სეზონში მეორე ეშელონის ჩვეულებრივი ტიპია. უოლასს უშვებენ "ორლანდოში" და იქ ბიჭმა 81 თამაშში 4.8 ქულა და 8.1 მოხსნა აკრიფა. "მეჯიქში" ახალ კონტრაქტს ამზადებდნენ და მერე "დეტროიტის" ვარიანტი დაჯდა.

2000/01 - 80 ტესტი, 6.4 ქულა, 13.2 მოხსნა, 1.5 პასი, 2.3 დაფარება, 1.5 ჩაჭრა. სერიოზული დამცველის სერიოზული სტარტი. უოლასმა ბევრი რაღაც გააუმჯობესა და აგრესიაში აკრიფა. ბენთან ერთად გაიშალა "პისტონზის" დაცვაც. უოლასი ბილ უოლტონის ტერიტორიაზეა. ბენი აზღვევს, ბენი ხსნის, ბენი კეტავს დერეფნებს და ბენი რეალური ბოსია.

2001/02 - 80 ტესტი, 7.6 ქულა, 13.0 მოხსნა, 1.5 პასი, 3.5 დაფარება, 1.7 ჩაჭრა. ბრუტალური.

2002/03 - 73 ტესტი, 6.9 ქულა, 15.4 მოხსნა, 1.6 პასი, 3.2 დაფარება, 1.4 ჩაჭრა. უოლასური.

2003/04 - 81 ტესტი, 9.5 ქულა , 12.4 მოხსნა, 1.7 პასი, 3.0 დაფარება, 1.8 ჩაჭრა. "დეტროიტმა" მოაგვარა ჯეისონ კიდის და "ნიუ ჯერსის" პრობლემა. "დეტროიტმა" მოაგვარა შაკის, კარლ მელოუნის, კობის და გარი პეიტონის პრობლემა. ბენ უოლასი იმ გუნდის ჯეისონ უორჰიზი იყო. ცელით, აგრესიით, დაუსრულებელი წამებით. უოლასმა მოიგო და ისტორიაში შევიდა.

2004/05 - 74 ტესტი, 9.7 ქულა (კარიერის რეკორდი), 12.2 მოხსნა, 1.7 პასი, 2.4 დაფარება, 1.4 ჩაჭრა. "დეტროიტი" ფინალში გადის და ეპიკურ სერიას "სან ანტონიოს" უტოვებს. 4:3, დანკანის გუნდის.

2005/06 - 82 ტესტი, 7.3 ქულა, 11.3 მოხსნა, 1.9 პასი, 2.2 დაფარება, 1.8 ჩაჭრა. ბენის ბოლო სეზონი იმ მძიმე და არაპოპულარულ "დეტროიტში". მერე წამოვა "ჩიკაგო", სადაც უოლასს გუნდის ბოსებთან ბევრი პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი. უოლასი შეიცვალა. უფრო ერთჯერადი, პროგნოზირებადი და ბრექი გახდა. ბენთან ერთად "ბულზმა" ვერ აკრიფა.

"დეტროიტში" ხუთი დაუნდობელი ბიჭი და ანტონიო მაკდაიესი "ლეიკერსს" ჭრიდნენ, ნაკერებიდან ძაფებს უღებდნენ. "დეტროიტში" პირველ ხუთეულს კრავდნენ უნივერსალი მცველი ჩონსი ბილაფსი, სწრაფი და ცუღლუტი მსროლელი რიჩარდ ჰამილტონი. იქვე იდგნენ ტაიშონ ორინსი და კიდევ ერთი ვან ჰელსინგი, მისტერ რაშიდ უოლასი. ხუთეულის მეხუთე ტიპი ბენ უოლასი იყო. მოძრავი მეოთხე ნომერი ცენტრის მოძრაობით და ჩარლი მენსონის სადიზმით.

"დეტროიტის" ფრენჩაიზი ლეგენდებს, საჭირო პერსონაჟებს უფრთხილდება. უოლასმა კარგი კარიერა დატოვა და წასვლას აპირებდა. 37 წლის ბენი ისვენებდა და მერე ტელეფონმა დარეკა. ბენს მიჩიგანში დაუძახეს.

უოლასი "დეტროიტში" დახურავს კარიერას. კარგი კაცის კარგი კარიერის კარგი დასასრული.

წილისყრა ერთი გუნდისთვის

პირველი გვერდიდან

ქართული გუნდების ევროთასებზე ნაჩვენები შედეგების შემდეგ, ცხადია, გულშემატკივართა ინტერესი კენჭისყრისადმი განელდა - გავიხსენოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში "ზესტაფონი" 0:3 დამარცხდა ბაქოს "ნეფთჩისთან", ევროპის ლიგაზე რუსთავის "მეტალურგმა" შინ 1:3 წააგო ჩეხეთის "პლზენთან". ერთადერთი, ვისაც შემდეგ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი აქვს გორის "დილაა" - გორელებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად დანიურ "ორჰუსთან" და ალბათ, საკუთარ მოედანზეც გაახარებენ ქომაგს.

მოდით, ჯერ ის ვთქვათ, ვინ შეიძლებოდა ან შეიძლება იყოს (თუ "ზესტაფონმა" და "მეტალურგმა" სასწაული მოახდინეს) ჩვენებურთა მეტოქეები.

"ზესტაფონი" - "ნეფთჩის" წყვილში გამარჯვებული "ჟილინა" - "ჰაპოელის" დუელში გამარჯვებულს დაუპირისპირდება. რუსთაველთა მეტოქე პოლონურ "რუხსა" და მაკედონიური "მეტალურგს" შორის მჯობნი შეიძლებოდა ყოფილიყო. გამორჩეული ინტერესით კი "დილას" მოწინააღმდეგეს ველოდით, წილისყრის შედეგად გორელებს მეტოქედ ესტონურ "ლევადიასა" და კვიპროსულ "ანორთოსისის" პაექრობაში გამარჯვებული ერგებათ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართლელებს კვიპროსელებთან მოუწევთ თამაში. საქმე ისაა, რომ "ანორთოსისმა" პირველი მატჩი სტუმრად 3:1 მოუგო "ლევადიას".

მიუხედავად ბაქოში განცდილი ფიასკოსი, "ზესტაფონის" პრეზიდენტი და ფეხბურთელები გულშემატკივრებს მოუწოდებენ სტადიონზე მივიდნენ, უქომაგონ და პირდებიან, რომ შემდეგ წრეში სწორედ იმერული კლუბი გააღწევს. აი, რას ამბობენ ზესტაფონელი ფეხბურთელები:

დავით მუჯირი: "ჩვენი გაფუჭებული საქმე ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ და ბოლომდე ბრძოლით სასწაული მოვახდინოთ. აგრესიულად უნდა ვითამაშოთ და შეცდომები აღარ დავუშვათ. სამწუხარო ისაა, რომ "ნეფთჩი" არაა ის გუნდი, ჩვენთვის ასეთი უპირატესობით რომ მოეგო".

ჯაბა დვალი: "0:3 გვაქვს წაგებული და ვიცით ურთულესი თამაში გველის, მაგრამ მონდომება და ცოტა იღბალიც, თუ გვექნა შეუძლებელი არაფერია. გულშემატკივარს ვთხოვ, მოვიდეს სტადიონზე და მხარი დაგვიჭიროს".

ზესტაფონელთაგან განსხვავებით "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი რეალურად აფასებს შექმნილ ვითარებას და აღიარებს, რომ მის გუნდს "პლზენთან" პირველ შეხვედრაშიც არ ჰქონდა შანსი. "ჩეხთა სწრაფი ფლანგელი მცველები რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ შეტევებში ჩართვისას, ჩვენ კი მათი განეიტრალება ვერ მოვახერხეთ. ამ მატჩმა ნათლად დაგვანახა, თუ სად ვიმყოფებით. ევროპულ საკლუბო ფეხბურთამდე ჯერ შორია, ჩეხებმა ტექნიკურ-ტაქტიკურად და ფიზიკურადაც გვაჯობეს" - ასეთი გულწრფელი იყო ნამატჩევს ჟორჟიკაშვილი.

"დილამ" "ორჰუსის" გოლს ორით უპასუხა

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

"ფენერბახჩე" (თურქეთი) - "ვასლუი" (რუმინეთი)

"მოზერველი" (შოტლანდია) - "პანათინაიკოსი" (საბერძნეთი)

"კოპენჰაგენი" (დანია) - "ბრიუგე" (ბელგია)

"დინამო" (უკრაინა) - "ფეინოორდი" (ჰოლანდია)

"მარიბორი" (სლოვენია)/"ჟელეზნიჩარი" (ბოსნია) - "დუდელანჟი" (ლუქსემბურგი) - "ზალცბურგი" (ავსტრია)

ბატე (ბელორუსია)/"ვარდარი" (მაკედონია) - "სკენდერბეუ" (ალბანეთი)/დებრეცენი (უნგრეთი)

"კლუჟი" (რუმინეთი) - "სლოვანი" (ჩეხეთი)/"შახტიორი" (ყაზახეთი)

"ანდერლეხტი" (ბელგია) - "შემროქ როვერსი" (ირლანდია)/"ეკრანასი" (ლიტვა)

"ბუდუჩნოსტი" (მონტენეგრო)/"შლენსკი" (პოლონეთი) - ტნს (უელსი)/"ჰელსინბორგი" (შვედეთი)

"ულისეს" (სომხეთი)/"შერიფი" (მოლდოვა) - "ლუდოგორეცი" (ბულგარეთი)/"დინამო" (ხორვატია)

"სელტიკი" (შოტლანდია) - ჰიკ-ი (ფინეთი)/"რეიკიავიკი" (ისლანდია)

"მოლდე" (ნორვეგია)/"ვენსპილსი" (ლიტვა) - "ფლორა" (ესტონეთი)/"ბაზელი" (შვეიცარია)

"ჟილინა" (სლოვაკეთი)/"ჰაპოელი" (კირიათ შმონა, ისრაელი) - "ნეფთჩი" (აზერბაიჯანი)/"ზესტაფონი" (საქართველო)

აელ-ი (კვიპროსი)/ "ლინფილდი" (ჩრ.ირლანდია) - "ვალეტა" (მალტა)/"პარტიზანი" (სერბეთი)